ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 12 ნოემბერი, 2019

№268 (8222)

ფასი: 60 თეთრი

## ნანა ტაველიშვილი: „კახეთის პოლიციაში 4 საათის მანძილზე დაჭერით მემუქრებოდნენ“

ყანდაურაში მომხდარი მკვლელობის საქმეზე მოწმემ ჩვენება მისცა



გვ.5

# ამერიკამ ივანიშვილი მკაცრად გააფრთხილა



გვ.3

## ბათუ ქუთელია: „ოცნებისთვის ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება“





გვ.3

## დავით დარჩიაშვილი: „მეუფე პეტრეს მსჯელობა ქაოტური იყო“

„ეკლესიის გავლენა პოლიტიკაზე დასუსტდება და ისეთი ველარ იქნება“

## „ოცნების“ დეპუტატ ზარქუას სიდედრს ორი მიწის ნაკვეთი აჩუქეს“



გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „მე მინდა ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, რომ ზარქუა არის მთავარი გამპრავებელი „ქართული ოცნების“ და კახი კალაძის, შავზე თეთრიაო რომ თქვან, დაუდასტურებს და ამას თურმე აკეთებს არა გულწრფელობით, არამედ ანგრების გამო“

## გიგა ბუკია: „ნაციონალების სიტყვა და საქმე ერთმანეთსაა აცდენილი“



გვ.4

„შიდა და გარე ძალები ყველაფერს აკეთებენ ავტორიტეტების, ფასეულობებისა და იმედის ჩასახშობად“



გვ.4

## ამირან სალუქვაძე: „ჩვენი რუსეთისკენ შემოტრიალება სრული კრახი იქნება“

ISSN 1987-9385

2 ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე და მისი მოადგილე ლევან კალანდაძე გადადგნენ

5 „მობილური ბიჭს ვესროლე და ანა სუბელიანს მოხვდა“

2 პროკურატურამ მაკო გომური, ომარ სეხნიაშვილი და მირზა ლიპარტელიანი დაზარალებულად ცნო

6 ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი გადადგა

# „ოცნების“ დეპუტატ ზარქუას სიდედრს ორი მიწის ნაკვეთი აჩუქეს“

ნონა ცაბაძე



## ლევან ხაბეიშვილი: „მე მინდა ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, რომ ზარქუა არის მთავარი გამპრავებელი „ქართული ოცნების“ და კახი კალაძის, შავზე თეთრიაო რომ თქვან, დაუდასტურებს და ამას თურმე აკეთებს არა გულწრფელობით, არამედ ანგრების გამო“

საკრებულოს დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს სახელმწიფო ქონების მიტაცებაში დებს ბრალს და პროკურატურისგან ამ საქმის გამოძიებას ითხოვს. როგორც ხაბეიშვილი აცხადებს, თბილისის საკრებულომ ირაკლი ზარქუას სიდედრს ორი მიწის ნაკვეთი გადასცა, რომელიც ჯამში 700 ათასი ლარის ღირებულებისაა.

ხაბეიშვილის განცხადებას ირაკლი ზარქუაც გამოეხმაურა და ლევან ხაბეიშვილს ცილისწამებაში დასდო ბრალი.

„ახალი თაობა“ **ლევან ხაბეიშვილს** ესაუბრა

***– ლევან, თქვენ გუშინ პროკურატურას მიმართეთ კონკრეტული მოთხოვნით, რომ დაინტერესებულიყო ზარქუას სიდედრისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემის ფაქტით. თქვენ კორუფციის ნიშნებს ხედავთ ამ ყველაფერში, თუმცა ზარქუა მატყუარას და ჯამბაზს გიწოდებთ.***

– რატომ მიწოდებს მატყუარას? მან ფაქტობრივად დაადასტურა ყველაფერი, რომ კიო, მომცეს, მაჩუქესო, უბრალოდ, აღქმაში აქვს პრობლემა, გვეკუთვნოდა და იმიტომ მოგვცესო.

***– უფრო კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე?***

– მარტივად რომ გითხრათ, რაც მოხდა, მოკლედ, 2016-2017 წელს, 2016 წელს 534 და 2017 წელს 429 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ზარქუას სიდედრს გადასცეს უფასოდ. ეს ჯამში არის მინიმუმ 700 ათასი ლარის ღირებულების. წარმოუდგენელი რამეა, ფაქტიურად ნახევარ მილიონზე მეტი ღირებულების მიწის ნაკვეთი დაუკანონეს უფასოდ. ადგნენ და გადასცეს. ზარქუა ამბობს, ეს იმიტომ გადმოგვცეს, რომ 70-იანი წლებიდან იქ ვართო. ასე შემთხვევით თბილისის საკრებულომ ადგა და ამხელა მიწის ნაკვეთი აჩუქა ზარქუას სიდედრს?! აქ მეორე ამბავიც არის, მარტო ჩუქებით არ დამთავრებულა.

***– რა ამბავი?***

– ასევე 189 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გამოუცხადეს პირობითიანი აუქციონი, რას ნიშნავს პირობითიანი? ეს ნიშნავს იმას, რომ მარტო მას შეეძლო მონაწილეობის მიღება. გადასცეს ფაქტიურად მეოთხედ ფასში, საუბარია 90 ათას ლარზე. თუმცა იმიტომ, რომ მეოთხედი ფასი იყო და ამას მერე იურიდიულად გაპრავება სჭირდებოდა, ასევე მთავრობის განკარგულებაში ჩაიწერა, რომ 100 ათასი ლარის ღირებულების ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა. ეს მოხდა 2017 წელს.

***– განხორციელდა ინვესტიცია?***

– გეტყვით იმასაც, რომ ინვესტიცია ვერ განახორციელეს და უფრო მეტიც, 2019 წლის ივლისში, გამოიცა მთავრობის ახალი განკარგულება, სადაც ვადა გაუგრძელეს და დღეს რომ ამბობს შეასრულაო, ტყუილია! არ არის შესრულებული. თავისივე შექმნილი დოკუმენტი ადასტურებს ამას. 2017-ში რომ შექმნა დოკუმენტი, რომ ორ წელიწადში უნდა მოესწრო, 2019 წლის ივლისში, მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომ არ შეუსრულებიაო და ამიტომ ვადა უნდა გავუგრძელოთო. პლუს ამას, როცა ვალდებულება თვითონ უნდა შეესრულებინა, აღიარა ზარქუამ და ჩვენება მისცა, რომ გაყიდა და ვალდებულებებით გაყიდაო. ასეთი რამ წარმოგიდგენიათ? სახელმწიფომ ფიზიკურ პირს მისცა ინვესტიციის ვალდებულებით მიწის ნაკვეთი, თუმცა ეს ადამიანი ადგა და გაყიდა.

***– კორუფციულ სქემას ხედავთ ამ ყველაფერში?***

– რასაკვირველია. თავადვე დაადასტურა ამ ადამიანმა. მეოთხედ ფასად იყიდა მიწის ნაკვეთი, 100 ათას ლარიანი ვალდებულება აიღო და ახლა ამბობს, გავყიდე უკვე ეს მიწის ნაკვეთიო. ამ ნაკვეთს გაყიდიდა ოთხჯერ უფრო ძვირად და

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე და მისი მოადგილე ლევან კალანდაძე გადადგნენ

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე და მისი მოადგილე ლევან კალანდაძე თანამდებობებს ტოვებენ.

კალანდაძის თქმით, მან და ირაკლი ლექვინაძემ გადადგომის შესახებ განცხადებები 8 ნოემბერს დაწერეს.

– მიზეზებთან დაკავშირებით კომენტარს პრესსამსახური გააკეთებს. ეს მოხდა ჩვენი სურვილით. რაიმე პოლიტიკურ ჩარევას კატეგორიულად გამოვრიცხავ, – განაცხადა კალანდაძემ.

მისივე განმარტებით, ის და ირაკლი ლექვინაძე, სავარაუდოდ, ისევ ერთ სტრუქტურაში განაგრძობენ მუშაობას, თუმცა სად, კალანდაძე ჯერჯერობით არ აკონკრეტებს.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესომბუდსმენს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს.

„ეს არ არის სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება“ – ამის შესახებ ბიზნესომბუდსმენის პოსტიდან წასვლის შესახებ ირაკლი ლექვინაძემ სოციალურ ქსელში დაწერა.

ლექვინაძის განმარტებით, თანამდებობიდან გადადგომა ალტერნატიულ გეგმებს უკავშირდება.

„გეტყვით, რომ 22-თვიანი მუშაობის პერიოდში ჩვენმა აპარატმა 565 საქმე განიხილა, რომელთაგანაც 300-ზე მოვახდინეთ შესაბამისი რეაგირება და 68%-ში ბიზნესის მოთხოვნები სრულად ან ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.

პ.ს. მინდა აქვე განვაცხადო, რომ ჩემი პოზიციიდან წასვლა უკავშირდება შეთანხმებულ ალტერნატიულ გეგმებს, რომლის შესახებაც უახლოეს მომავალში ვისაუბრებ და ეს არ არის სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება“ – დაწერა ყოფილმა ბიზნესომბუდსმენმა.



ირაკლი ლექვინაძე მადლობას უხდის ყველა ბიზნესკომპანიას და ბიზნესასოციაციას, რომელიც 22 თვის განმავლობაში მას ნდობას და მხარდაჭერას უცხადებდა:

„მინდა მადლობა გადავუხადო ბიზნესკომპანიებს და ბიზნესასოციაციებს ნდობისთვის, აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის; მადლობა მინდა გადავუხადო სახელმწიფო უწყებებს, საქართველოს პარლამენტს საინტერესო თანამშრომლობისთვის, დისკუსიებისთვის, ოპონირებისთვის და ბიზნესისთვის რიგი სასარგებლო გადაწყვეტილებებისთვის; მადლობა მინდა გადავუხადო დონორ და პროფესიულ ორგანიზაციებს, მათთან ერთად ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ ინსტიტუტის გაძლიერებისთვის და საერთაშორისო პლატფორმებზე წარმოჩენისთვის. მადლობა მედიას მხარდაჭერისთვის და გვერდში დგომისთვის! მადლობა ბიზნესომბუდსმენის აპარატის ყველა თანამშრომელს თავდადებული შრომისთვის ბიზნესის მხარდასაჭერად“.

# ზიზი ტოგონიძე: „ჩემი 12 წლის ბიჭი აკინის ფილმში მოტყუებით გადაიღეს“

ზიზი ტოგონიძე, რომლის არასრულწლოვანი შვილი ფილმში „და მერე ჩვენ ვიცეკვეთ“ მონაწილეობს, მოითხოვს, რომ აღნიშნული ფილმი კინოჩვენებიდან ამოიღონ.

როგორც ზიზი ტოგონიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მას არ ჰქონდა ინფორმაცია, რა თემატიკაზე იყო აღნიშნული ფილმი. როგორც მშობელი აცხადებს, მას უთხრეს, რომ ფილმი ქართული ცეკვის ტრადიციის შესახებ იქნებოდა, შესაბამისად, დათანხმდა შეთავაზებას, რომ აღნიშნულ ფილმში მონაწილეობა მიეღო მის შვილს.




ზიზი ტოგონიძე აპირებს, რომ ამ საკითხზე სარჩელი სასამართლოშიც შეიტანოს.

ზიზი ტოგონიძის განმარტებით, მისი შვილი ამ ფილმში ერთ-ერთი სტუდიიდან მოხვდა, საიდანაც სხვადასხვა გადაღებებზე ხშირად დაჰყავდათ.

– გადაღებაზე, სამწუხაროდ, მე ვერ გავყევი, მეგობრის მშობელი გაყვა. რამდენჯერმე იქაც დავუკავშირდი, ჩავეკითხე, რა ფილმი იყო და და პასუხი იგივე იყო, რომ ფილმი ქართულ ტრადიციებზე იყო. თავისთავად ცხადია, არანაირი ლგბტ თემა არ მოიაზრებოდა.

ფილმის თემატიკა გავიგე მაშინ, როდესაც ფილმი კანზე წარადგინეს, მაგრამ უპრიანად ჩავთვალე ის, რომ ჯერ ფილმი მენახა. როცა ფილმი ვნახე, ზუსტად ის რეაქცია მქონდა, როგორიც ყველა ნორმალურ ადამიანს ჰქონდა.

ბავშვმა იცის ამჟამად და ცხადია, თვითონაც არ არის აღფრთოვანებული. ფილმის გადაღებების დროს 12 წლის იყო, ამჟამად 13 წლისაა. ბიჭის მშობელი ვარ და შესაძლოა, ეს ამბავი წინ ბევრჯერ დახვდეს. მოთხოვნა არის ის, რომ ფილმი კინოჩვენებიდან ამოიღონ. რომელიმე კადრებზე კი არ არის საუბარი, არამედ, ზოგადად ფილმი აღარ უნდა იყოს ჩვენებაში. სასამართლოში ჩივილს აუცილებლად ვაპირებ, – განაცხადა ტოგონიძემ.

ამ საკითხზე ჟურნალისტებთან ისაუბრა საბავშვო თეატრი-სტუდია „მეორე სახლი 2“-ის ხელმძღვანელმა ნინო მესხმა.

მისი განცხადებით, მას ინფორმაცია ჰქონდა, რომ ბავშვებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ფილმში, რომელიც იქნებოდა ქართულ ცეკვასა და ტრადიციებზე.

– გვიან ღამით დამიკავშირდნენ. ისიც არ ვიცი, ვინ იყო, მთხოვეს, ვიცი, თქვენთან ბავშვები არიან, სტუდია გაქვთ და გვინდა ორი ვიზუალურად კარგი ბავშვი, ცეკვა რომ შეეძლოთ, გადავიღოთო.

ზოგადად, ჩემი წილი პასუხისმგებლობაა ის, რომ მინიმუმ საქმის კურსში უნდა ვყოფილიყავი, რას იღებდნენ. ეს ვილაცისთვის მისაღებია, ვილაცისთვის არა. აქედან გამომდინარე, მშობელიც საქმის კურსში უნდა ყოფილიყო.

მშობლებს ჩემთან ნაკლებად აქვთ პრეტენზია, ეს ჩემთვის გაკვეთილია. ამის შემდეგ მეცოდინება, რომ დეტალებში უნდა გამოვკითხო ყველაფერი, – განაცხადა ნინო მესხმა.

# პროკურატურამ მაკო გომური, ომარ სეხნიაშვილი და მირზა ლიპარტელიანი დაზარალებულად ცნო

საქართველოს პროკურატურამ 20-21 ივნისის მოვლენების საქმეზე მაკო გომური, ომარ სეხნიაშვილი და მირზა ლიპარტელიანი დაზარალებულად ცნო.

ამის შესახებ პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი.



„2019 წლის 20-21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების მიღების და შესაძლო დანაშაულებრივ ეპიზოდებთან დაკავშირებით დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, დაზარალებულად იქნა ცნობილი მაია გომური, ომარ სეხნიაშვილი და მირზა ლიპარტელიანი.

გამოძიების ფარგლებში ჩატარებულია ასობით საგამოძიებო მოქმედება – გამოკითხულია 600-ზე მეტი პირი, მათ შორის სამართალდამცავები. გამოკვლეულია პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების ამსახველი შესაბამისი ვიდეომასალა. დანიშნულია ექსპერტიზები.

რაც შეეხება მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სხვა პირების დაზარალებულად ცნობის საკითხს, საგამოძიებო პროცედურების დასრულების შემდეგ თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება, რის შესახებაც საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია“ – აღნიშნულია განცხადებაში.



# ჟურნალისტი ნინო სულაბერიძე გარდაიცვალა

ჟურნალისტი ნინო სულაბერიძე, რომელიც სიმსივნეს ებრძოდა, გარდაიცვალა.

თავის ტვინის სიმსივნე ნინოს რამდენიმე წლის წინ დაუდგინდა. ბოლო წლებში იგი ოპერაციების შემდეგ რეაბილიტაციას გადიოდა.

ნინო სულაბერიძეს მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

# განათლების მინისტრი ირინა აბულაძე გახდება?

იქნება თუ არა ირინე აბულაძე განათლების მინისტრი?!

კურიერის ინფორმაციით, განათლების მინისტრის თანამდებობას სწორედ ბატიაშვილის მოადგილე დაიკავებს.

ირინე აბულაძე, რომელიც გუშინ, 11 ნოემბერს, პარლამენტში იმყოფებოდა, ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებს და ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი მიიღებს.

ამჟამად ის მხოლოდ მინისტრის მოვალეობის შემსრულებელია.



ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ამერიკამ ივანიშვილი მკაცრად გააფრთხილა

## ბათუ ქუთელია: „ოცნებისთვის ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება“

იაგო ნაცვლიშვილი

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მეორე მოადგილემ ჯორჯ კენტმა საქართველოს ხელისუფლება ოპონენტების პოლიტიკურ დევნაში დაადანაშაულა. ამერიკელმა დიპლომატმა ეს განცხადება სენატში დაკითხვისას გააკეთა, როდესაც უკრაინის თემაზე საუბრობდა და მასთან ერთად საქართველოც ახსენა.

„საქართველოს და უკრაინას ორივეს ნატოში გაწევრიანება სურთ. ორივე მილიარდობით დახმარებას იღებს აშშ-გან, თუმცა არსებობს სერიოზული პრობლემა – ეს არის ზემოხსენებული ქვეყნების სათავეში მყოფი ხალხი, რომლებიც პოლიტიკურად მოტივირებულ გამოძიებას ოპონენტების დევნისთვის იყენებენ“ – განაცხადა ჯორჯ კენტმა.

რას ნიშნავს ჯორჯ კენტის განცხადება, არის თუ არა ეს საქართველოს ხელისუფლების გაფრთხილება და უნდა აღვიქვათ თუ არა ეს განცხადებად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტშიც? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ ვიცე-პრეზიდენტი **ბათუ ქუთელია** საუბრობს:

***– ჯორჯ კენტმა საქართველოს ხელისუფლება გააკრიტიკა, კერძოდ, ოპოზიციის მიმართ დევნაში და ხაზი გაუსვა იმას, რამდენ ფულს ხარჯავს საქართველოსა და უკრაინისათვის. ამ კონტექსტში როგორ უნდა გავიგოთ მისი ეს განცხადება?***

– პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის კონტექსტი. მან სენატში მოსმენაზე გააკეთა ეს განცხადება, სადაც უკრაინის თემაზე მოსმენას შეეხებოდა და მან უკრაინასთან ერთად საქართველოს მაგალითიც მოიყვანა, სადაც ამერიკის პარტნიორ ქვეყნებზე ისაუბრა და თქვა, რომ ასეთი ტენდენციები შეინიშნება.

ეს არის ძალიან საგანგაშო სიგნალი, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადასტურებს იმას, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკურ სპექტრსა და მედიაშიც საქართველო განიხილება ქვეყნად, რომელსაც მართავს ერთი ოლიგარქი და მას მიტაცებული აქვს მთელი სახელმწიფო. ამას კი ის გარემოებაც ემატება, როდესაც ამ პროცესს ტიპიური რუსული, პუტინისეული სისტემა ემატება. რაც ითვალისწინებს სასამართლოსა და ძალოვანი სტრუქტურების აქტიურად გამოყენებას პარტიული პოლიტიკური მიზნებისათვის პოლიტიკური მიზნებისა და ოპოზიციური ხმის ჩასახშობად.

ისტორიაში ამის ძალიან ბევრი მაგალითი ყოფილა, როდესაც ავტოკრატ და დიქტატორ ლიდერებს ბოროტად გამოუყენებია ამერიკის ნდობა ან ამერიკის სტრატეგიული ინტერესები მათი ქვეყნის მიმართ და არც ერთ შემთხვევაში ეს ამბავი მათთვის კარგად არ დამთავრებულა.

***– უხეშად რომ ვთქვათ, ეს იმგვარი გზავნილიც ხომ არ არის, რომ თუ გონს არ მოეგებით, შესაძლოა ვიფიქროთ ჩვენი პოლიტიკის გადახედვაზეო?***

– არა. ამერიკისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ძალიან ბევრ კომპონენტს ეფუძნება, რომელთანაც ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შეხება საერთოდ არ აქვთ. ეს არის 4 საუკუნეზე მეტი, რაც ამერიკა-საქართველოს პარტნიორობა მოდის მთავარ საკითხებში. მათ შორის უსაფრთხოების საკითხებშიც. აქ საქართველოს გარდა ამერიკის ინტერესებიც არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, საქართველო-ამერიკის ინტერესები ამით არ დაზარალდება, მაგრამ ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ ძალიან მძიმე პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევთ. ჩვენი ამოცანაა, რომ რაც შეიძლება მალე შეიცვალოს ეს სისტემა. იმიტომ, რომ ამ ინსტიტუციებმა არ მიიღოს ისეთი ზიანი, რაც ჩვენ გაგვიჩენს საფრთხეს და ვიქნებით მოწყვლადი სხვა გარე საფრთხეების მიმართ, მაგალითად, როგორიც არის რუსული ჰიბრიდული ომი.

***– მძიმე პოლიტიკური ფასის გადახდაში რას მოიაზრებთ, რა შეიძლება იყოს ეს?***

– მძიმე პოლიტიკური ფასი არის სწორედ ის, რასაც იზიარებენ ხოლმე ასეთი ტიპის ადამიანები. ზოგი ხვდება სანქციებში, ზოგს შეიძლება სხვა უფრო მძიმე ბრალდებებზე მოუწიოთ პასუხის გაცემა. ეს არ შემოიფარგლება საქართველოთი. დაწყებული სხვადასხვა ტიპის არალეგალური მოქმედებებით, ასევე რუსული სპეცსამსახურებისთვის ფართო არეალის მიცემა, ასევე ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების უგულებელყოფა. ძალიან ბევრი საკითხის ერთობლიობაა.

მთავარი პოლიტიკური ფასი კი ის არის, რომ ისინი პოლიტიკურ ხელისუფლებას უნდა ჩამოშორდნენ. ამით პირველ რიგში აზიანებენ საქართველოს ინტერესებს, მაგრამ ამასთანავე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ინტერესებიც ზიანდება, რომელთანაც ჩვენ გვაქვს აბსოლუტური თანხვედრა.



***– ანუ შესაძლოა დასავლეთმა მოკვლევაც კი ჩაატაროს იმის დასადგენად, აქვს თუ არა, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილს კავშირები რუსეთთან და იმართება თუ არა ის პუტინისგან?***

– ეს ძალიან ხისტი ტერმინებია, იმართება თუ არა, მაგრამ რასაც ივანიშვილი აკეთებს, ეს არის რუსეთისა და პუტინის ინტერესებში. გარდა ამისა, ჩემი აზრით, გამოსაკვლევია ის საკითხი, რაზეც ახლახან „ბლუმბერგიც“ წერდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური რესურსის წარმომავლობაც გასარკვევია, ისევე, როგორც სხვა ოლიგარქების, რომლის შესწავლაც მიმდინარეობს. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ცდილობენ სახელმწიფოს მიტაცებას.

***– ოფშორებს გულისხმობთ?***

– არა მხოლოდ ოფშორებს. ბევრი სხვა კომპონენტია და მისი წარმომავლობის შესწავლა უნდა მოხდეს იმიტომ, რომ თავიდან იყოს აცილებული სახელმწიფო მიტაცება. დე-ოლიგარქიზაციის პროცესი მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში არ ხდება, ეს პროცესი მიმდინარეობს და კონსენსუსი გრძელდება დემოკრატიულ ინსტიტუციებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებში და აქედან გამომდინარე შავი ფულის შეჟონვა, როგორც სახელმწიფოს მიტაცების ინსტრუმენტია და რაც რუსეთის ხელწერაა, სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ხორციელდება. ანალოგიური რაღაც ხდებოდა უკრაინაში, მოლდოვაში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამიტომაც ამ პროცესს გაცილებით დიდი ყურადღება ეთმობა დღეს, ვიდრე თუნდაც რამდენიმე წლის წინ.

***– ეს განცხადება არჩევნების კონტექსტშიც ხომ არ უნდა განვიხილოთ და ერთგვარ გაფრთხილებად ხომ არ უნდა მივიღოთ? იმ თვალსაზრისით, რომ თავი გაანებოს ოპონენტების დევნას, თორემ ის აღარ დახუჭავს არჩევნების დროს ისეთ დარღვევებზე, რაზეც აქამდე ხუჭავდა?***

– აშშ ძირითად დარღვევებზე თვალს არასდროს არ ხუჭავდა. უბრალოდ, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალურს, ზოგ შემთხვევაში კი დახურულ კარს მიღმა. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა ვერ გაიგეს ის გზავნილები, რასაც ჩვენი მეგობარი ქვეყანა ჩვენივე ინტერესებისთვის ეუბნებოდა ხელისუფლებას. სახელმწიფოს მიტაცების პრობლემაც ის არის, რომ ჩვენი – ამ ქვეყნის მოქალაქეებისა და ხელისუფლების ინტერესები 180 გრადუსით განსხვავდება ერთმანეთისგან.

სწორედ ამიტომ მოუწია აშშ-ის სახელმწიფო მდივან პომპეოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის მისამართით გზავნილების ხმამაღლა გაჟღერება, რომელიც მხოლოდ მთავრობის მიმართ არ იყო გზავნილები.

***– რომელიც ასევე არ გაითვალისწინა ჩვენმა ხელისუფლებამ?***

– კი ბატონო, არ გაითვალისწინეს და სწორედ ამის გამოა ჩამოყალიბებული ის აზრი საქართველოს შესახებ, რაც არის და სწორედ ეს გაიმეორა სენატის სხდომაზე კენტმა.

***– ანუ, ამერიკის მხრიდან არჩევნების კონტექსტში მნიშვნელოვან ცვლილებას არ ელოდებით?***

– ცვლილებას რასთან დაკავშირებით?

***– ამერიკის პოლიტიკასთან დაკავშირებით. მაგალითად, ახსენეთ დახურულ კარს მიღმა იყო გზავნილებიო და არ ელოდებით ხმამაღალ გზავნილებს, ისე, როგორც, მაგალითად, ეს პომპეომ გააკეთა? ამ შემთხვევაშიც ხომ არ მოუწევს ამერიკას ხმამაღლა თქვას სათქმელი?***

– მგონი სიტყვები არასწორად არის გამოყენებული. მოუწევს არა, აშშ ყოველთვის აკეთებდა განცხადებებს. ცდილობდნენ, რომ თავისი განცხადებებით არ დაეზიანებინათ უფრო დიდი სიკეთე, რაც არის ქართულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობა. ის, რომ საქართველოს ხელისუფლება იქცევა ცუდად, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს და ამ ქვეყნის მოქალაქეების ინტერესები უნდა იყოს უგულებელყოფილი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან. ამიტომაც ისინი ფრთხილად არჩევენ კომუნიკაციის ფორმას, მაგრამ ახლა, 2020-ის არჩევნები გადამწყვეტი მომენტია. ან ივანიშვილი შეეცდება მთლიანად გაიფორმოს სახელმწიფო, ან ქვეყანა დაუბრუნდება ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებას.

აქედან გამომდინარე მე ველოდები, რომ გაცილებით მკაცრი ტონი იქნება ჩვენი პარტნიორების მხრიდან. ბუნებრივია, ეს მკაცრი ტონი გაზიარებული უნდა იყოს ჩვენი მოქალაქეების მხრიდან. იმიტომ, რომ არ დავუშვათ არჩევნების იმ მეთოდებით ჩატარება, როგორც აქამდე ატარებდნენ.

***– ჩემი წინა კითხვის კონტექსტს დავაზუსტებ. როცა ვამბობ მოუწევს, იმას კი არ ვგულისხმობ, რომ იძულებული იქნება, არამედ ვინაიდან ჩვენი ხელისუფლება არ ითვალისწინებს დიპლომატიურ გზავნილებს, ამის გამო ხომ არ იტყვის ხმამაღლა?***

– მაგ კონტექსტში კი. გააკეთებს, იმიტომ, რომ მეგობრული და დახურულ კარს მიღმა მიცემული გზავნილების მიღება უჭირთ, ან არ უნდათ იმის გამო, რომ აბსოლუტურად სხვა ინტერესები აქვს „ქართულ ოცნებას“.

# სუსის უფროსი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან, ჰუბერტ ქნირშთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი და საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის ატაშე სტეფან ელერტი.

გრიგოლ ლილუაშვილმა და ჰუბერტ ქნირშმა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და გერმანიის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას.

მხარეებმა გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები და საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინაშე არსებული გამოწვევები მიმოიხილეს.

# დავით დარჩიაშვილი: „მეუფე პეტრეს მსჯელობა ქაოტური იყო“

## „ეკლესიის გავლენა პოლიტიკაზე დასუსტდება და ისეთი ველარ იქნება“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მეუფე პეტრეს განცხადებებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, მეუფე პეტრეს ინტერვიუმ თქვენ რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ? ის არაერთ საკითხს შეეხო, როგორც საეკლესიოს, ისე პოლიტიკურს. პოლიტიკაში მოსვლაც კი არ გამორიცხა.***

– ზოგადად მისმა ინტერვიუმ, მე პირადად ბევრად უფრო მეტი კითხვა გამიჩინა, ვიდრე პასუხი. ძალიან ქაოტური და წინააღმდეგობრივი იყო ეს ყველაფერი. ერთი მხრივ, გასაგებია, რომ მან ამხილა ამ სისტემაში არსებული ძალიან სერიოზული პრობლემები. გნებავთ კრიმინალი დავარქვათ და გნებავთ ცოდვები. საჯაროდ ეკლესიის შიგნით არსებულ პრობლემებზე საუბარი ძალიან მნიშვნელოვანია და ეს აუცილებელი იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ტყუილში ცხოვრება არ შეიძლება!

მეორე მხრივ, მეუფე პეტრეს ღირებულებათა სისტემას რაც შეეხება, რა უნდა?! რას უჭერს მხარს?! როგორი მომავალი წარმოუდგენია?! საკმაოდ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია ჩემთვის. არის ის ბუნებით დემოკრატი კაცი?! არ არის?! ეს მე არ ვიცი და ამ კითხვებზე პასუხების მიღება ცოტა რთულია.

გასაგებია, რომ სიმართლისთვის თავი გადადო, მაგრამ ალტერნატივას რას გვთავაზობს ან ეკლესიაში, ან ქვეყნის საქმეში, ამ მხრივ მისი პოზიციები ძალიან წინააღმდეგობრივი და ბევრი კითხვის გამჩენია.



***– კითხვას გიჩენთ თუნდაც ის განცხადება, რომ ის პოლიტიკაში მოსვლას არ გამორიცხავს?***

– ეს მისი ნებაა. უნდა პოლიტიკაში მოვა და უნდა ეკლესიაში. თავისუფალი ადამიანია და მას ეს თავისუფლება აქვს. თუ სულ მიატოვებს ეკლესიას და პოლიტიკაში წავა, ეს სხვა ამბავია. ეს არავის ეკრძალება, მაგრამ თან პოლიტიკაში ყოფნა და თან ეკლესიაში, ეს ცოტა ინტერესთა კონფლიქტია. თუმცა, ეს მთლიანად მისი გადასაწყვეტია.

***– მისი პოლიტიკური შეფასებები ივანიშვილთან, გახარიასთან დაკავშირებით, ასევე რუსეთთან, თქვენ კითხვებს გიჩენთ?***

– ბევრი რამე წინააღმდეგობრივია, ქაოტურია მისი მსჯელობა. თითქოს სადღაც შუაში გაიჭედა. პრორუსული ნოტებიც იყო და ანტირუსული ნოტებიც. ასევე, „ოცნების“ მხარდამჭერი ნოტებიც იყო.

***– გია ვოლსკი მეუფე პეტრეს ნაციონალური მოძრაობის ნაწილს უწოდებს.***

– გასაგებია! ის სერიოზული მხილებით გამოვიდა ეკლესიაში არსებული ვითარების მიმართ, დანარჩენი, რასაც ეკითხებიან, სრული ბურუსით არის მოცული.

***– ეკლესიაში პრობლემა რომ იყო, ეს საზოგადოებამ იცოდა. თუმცა, არავინ ეხებოდა მას.***

– საზოგადოებას არ უყვარს ბოლო წუთამდე მტკივნეულ საკითხებზე დაფიქრება, საჯაროდ მსჯელობა, ფიქრი და გამოსავლის ძიება. ვიღაცამ რაღაცა იცოდა, ვიღაცა თავს არიდებდა ამაზე ღიად საუბარს. ვიღაც თვალს ხუჭავდა.

ახლა ყველას სახეზე მიაფარეს ის რეალობა, რაც არის. ახლა საზოგადოებას მოუწევს ამის გადახარშვა და იმედია, რომ აქედან დასკვნების გამოტანა მოხდება როგორც თავად საზოგადოების, ისე ეკლესიის მხრიდან.

***– ამ პროცესს სხვა განვითარება ექნება?***

– თუ ვიღაც ფიქრობს, რომ ამას მიჩქმალავს, უკვე ვერ მიჩქმალავს. ვიღაცისთვის შეიძლება ისევ თვალების დახუჭვაა არჩევანი, მაგრამ მთლიანობაში სამოქალაქო საზოგადოება ამ ყველაფერზე თვალს ვერ დახუჭავს. შესაბამისად, აღარასოდეს იქნება ეკლესიის ავტორიტეტი ისეთი, როგორიც აქამდე იყო.

***– ეს ყველაფერი გავლენას იქონიებს ეკლესიის რეიტინგზე, რომელიც ნდობის რეიტინგში ყოველთვის პირველ ადგილზე იყო?***

– რა თქმა უნდა! მე მაინც ვფიქრობ, რომ ეკლესიის ასეთი მაღალი რეიტინგი იყო არა იმის დამსახურებით, რასაც სამღვდელოება აკეთებდა, არამედ საზოგადოებას, ზოგადად ადამიანებს სჭირდებოდათ და სჭირდებათ ნავსაყუდელი. ადამიანი მოწყვლადია – მუდმივად შიშშია, სტრესია და მას სჭირდება მსგავსი ინსტიტუცია, რომელიც უპირობოდ დაიცავს და მის გვერდით იქნება.

მთელი ეს პროცესი კარგია, ცუდი არ არის, რადგან საზოგადოების ზრდას შეუწყობს ხელს.

***– შეიძლება ამ პროცესმა გავლენა იქონიოს არჩევნებზე?***

– როგორ გითხრათ, ეს კიდევ ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. ასევე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოიქცევა ეკლესია. იქნება თუ არა ეკლესია პოლიტიზებული და ჩართული არჩევნებში.

მე მგონია, რომ ვიღაცისთვის ეს ცალსახად უარყოფითი იქნება, ვიღაცა ისევ ინერციით გაჰყვება. მთლიანობაში, ეკლესიის გავლენა პოლიტიკაზე დასუსტდება და ისეთი ველარ იქნება.

რა პროცენტით, ვერ გეტყვით.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# გიგა ბუკია: „ნაციონალების სიტყვა და საქმე ერთმანეთსაა აცდენილი“

## „შიდა და გარე ძალები ყველაფერს აკეთებენ ავტორიტეტების, ფასეულობებისა და იმედის ჩასახშობად“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ არ უნდა შეისწავლოს პარლამენტმა მეუფე იაკობის ბრალდებები? რატომ გახდა გადასახედი შეწყალების კრიტერიუმები? რას აკეთებს პეტრე ცაავა? რატომ დარჩა მოგებული ორივე დაპირისპირებული მხარე ფილმ „და მერე ჩვენ ვიცეკვეთ“ გამო? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას.**

***– ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს, პარლამენტში შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის მეუფე იაკობის მამხილებელ განცხადებებს. მისი თქმით, ეს ხელისუფლება გეგმავდა პატრიარქის შეცვლას.***

– ნაციონალური მოძრაობა და ხშირად „ევროპული საქართველოც“ უკვე აბსურდამდე მიდიან. ეს ხალხი ყველა საკითხზე პარლამენტის საგამოძიებო კომისიას მოითხოვს. ეტყობა უნდათ, რომ ქვეყნის მთელი საგამოძიებო სისტემა, შსს და პროკურატურა, პარლამენტში მოექცეს. ალბათ გახსოვთ, რომ იგივე ნაცმოძრაობა დაჟინებით მოითხოვდა საგამოძიებო კომისიას დავით სარალიძის მკვლელობის საქმეზე. როცა ჩვენ ამაზე დავთანხმდით, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, არ გვინდა ამ კომისიაში მონაწილეობაო.

***– ამ კომისიაში „ევროპული საქართველო“ აქტიურობდა.***

– დიახ. ნაციონალები ამ კომისიას არ გაეკარნენ. ამით ამ პოლიტიკოსებმა დაამტკიცეს, რომ მათი სიტყვა და საქმე აცდენილია ერთმანეთს. შეწყალების საქმეზეც უნდათ კომისიის



შექმნა. ადრე, როცა შეწყალების პროცესზე ხმას ვიღებდით, შეკითხვას ვერ იტანდნენ. როცა ვამბობდით, რომ შეწყალება განჭვრეტადი უნდა გახდეს, გვპასუხობდნენ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს ვასუსტებთ. სააკაშვილმა შეიწყალა გირგვლიანის მკვლელები და სხვა მძიმე დამნაშავეები.

***– ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ როცა ის შეწყალების კომისიაში იყო, იმ დროს შეწყალების კრიტერიუმები საფუძვლიანად შემუშავდა. თუ ასეა, ან შეცდომები რატომ ხდება, ან ახალი კრიტერიუმების შედგენა რა საჭიროა?***

– მერე რა, რომ ამაზე მაშინ იმუშავეს და ამაში ელისაშვილიც მონაწილეობდა! ელისაშვილი სოლომონ ბრძენი ხომ არ არის, რომ მის მიერ შემუშავებული წესების გადახედვა არ შეიძლებოდეს! ელისაშვილს ძალიან დიდი ამბიციები ჰქონია, თუ ფიქრობს, რომ კრიტერიუმების დახვეწა არ შეიძლება. პრეზიდენტის გადაწყვეტილებები შეწყალებაზე უნდა იყოს განჭვრეტადი. ეს მიიღწევა კონსენსუსით.

***– იმ საკითხებით, რომლებზეც ოპოზიცია საპარლამენტო კომისიების შექმნას მოითხოვს, პროკურატურა ხომ უნდა დაკავდეს?***

– შეწყალების საკითხზე პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს. რაც შეეხება ეკლესიის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, ესაა დაუფარავი ბრძოლა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ებრძვიან. შიდა და გარე ძალები ყველაფერს აკეთებენ ავტორიტეტების, ფასეულობებისა და იმედის ჩასახშობად. თავდასხმებია საპატრიარქოზე, როგორც ინსტიტუტზე, ასევე პირადად პატრიარქზე, რომელსაც ქვეყანაში ყველაზე დიდი ნდობა აქვს.

როცა ადამიანებს ტვინს ურევენ და არწმუნებენ, რომ აღარავინაა სანდო – არც რელიგიური, არც პოლიტიკური ლიდერი, არც საზოგადო მოღვაწე, რომ ყველგან გაუტანლობა და სიბინძურეა, ისინი კარგავენ იმედს, სასოწარკვეთილება კი სუიციდს იწვევს.

დააკვირდით, რა ხდება – ხალხს აკარგვინებენ რწმენას და ლაფში სვრიან ყველას, სულიერ მამას, პოლიტიკურ ლიდერებს, ქველმოქმედებს, ხელოვანებს. საზოგადოება მიჰყავთ ფრუსტრაციამდე, თვითმკვლელობებამდე.

ამას ერის გენოციდს ვუწოდებ. ამაზე ყველა ვართ პასუხისმგებელი, განსაკუთრებით, ისინი, ვისაც საჯარო წვდომა გვაქვს ხალხზე.

***– პეტრე ცაავას მიერ გახმოვანებული ბრალდებებისა ბევრს არ სჯერა. იგი თავის თავდასხმებს აგრძელებს. თუ ეკლესიიდან მოკვეთენ, იგი პოლიტიკაში მოსვლას არ გამორიცხავს.***

– პეტრე ცაავამ თავისი თავი თვითონ დააყენა ეკლესიის გარეთ. იმისდა მიუხედავად, განკვეთენ მას თუ არა. ეს კაცი, რომელიც ყოველთვის სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მხურვალე მხარდამჭერი იყო, ცდილობს ყურადღების ცენტრში ყოფნას და დივიდენდების მოპოვებას. ვის თვალში უნდა დივიდენდების მიღება, არ ვიცი.

***– ამ დღეებში ქვეყნის ყურადღება გადატანილი იყო გეიწყვილზე გადაღებულ ფილმზე „და მერე ჩვენ ვიცეკვეთ“. ჩვენების წინააღმდეგ ხალხი გამოვიდა. ეს რას ნიშნავს?***

– ჩემი აზრით, ზედმეტი აჟიოტაჟი იყო ფილმის გადამღებებისა და ჩვენების ორგანიზატორების მხრიდანაც და მათი მოწინააღმდეგეების მხრიდანაც. გამოვიდა, რომ მოგებული დარჩა ორივე მხარე.

ძალიან ბევრი ადამიანი ცდილობს კეკლუცობას ტელევიზიებთან. ტელეეკრანზე გამოჩენა საქმის გაკეთებას არ ნიშნავს. რაც უფრო მეტს ვიყვირებთ, რომ ეს ფილმი საშინელებაა, მით უფრო მეტი რეკლამა გამოგვივა.

***– ფილმის ოპონენტები არ ფიქრობენ, რომ მათ ამ ფილმის პოპულარიზაციას ხელი შეუწყვეს.***

– მაინც ასე გამოვიდა. როცა რამეს მიუღებლად თვლი, მისი ტირაჟირება არ უნდა მოახდინო. პრობლემა უნდა მოგვარდეს უფრო დახვეწილი ფორმებით.

საერთოდ, ყველამ უნდა ვიზრუნოთ ქვეყანაში გარემოს ნორმალიზაციაზე, აუცილებელია მეტი სიმშვიდე, რწმენა და იმედი. თორემ, სასოწარკვეთილება გენოციდის ტოლფასია. ამის მძიმე შედეგები თვალწინ გვაქვს.

# ამირან სალუქვაძე: „ჩვენი რუსეთისკენ შემოტრიალება სრული კრახი იქნება“

გულიკო ბალაძე

რა გავლენას შეიძლება ახდენდეს ქართველ საზოგადოებასა და ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციაზე ევროპელი ლიდერების განცხადებები, „ახალ თაობას“ სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი **ამირან სალუქვაძე** ესაუბრა.

***– ბატონო ამირან, დასავლეთში, ევროპაში, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, კეთდება განცხადებები, რომელმაც შეიძლება ჩვენი საზოგადოების განწყობებზე იმოქმედოს, ორიენტაციის კუთხით. მაგალითად, მაკრონმა განაცხადა, რომ „ნატოს ტვინი სიკვდილს განიცდის“, „ამერიკა არასათანადო პარტნიორია“, ამიტომ „დროა ევროპამ რუსეთთან პრობლემები მოაგვაროს“. ასევე მაკრონი ევროპის საჯარისო ფორმირების შექმნაზეც საუბრობდა. მაკრონის ამ განცხადებებს ჩვენს საზოგადოებაში გაურკვევლობა ხომ არ შემოაქვს?***

– მაკრონს რუსეთთან დამოუკიდებლად ურთიერთობის მოგვარებაზე არ უსაუბრია. რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე ისაუბრა. მაკრონმა, ზოგადად, ნატოს შეფასება მან ტრამპის ეპოქას დაუკავშირა. მაგალითისთვის მოიყვანა ის უთანხმოება, რომელიც სირიის საკითხში არსებობს ამერიკასა და ნატოს შორის.

საბედნიეროდ, მაკრონის პოზიციას ნატოში მთლიანად არ იზიარებენ. ჩვენ ვიხილეთ ანგელა მერკელის განცხადება მაკრონის საპასუხოდ, მაგრამ საფრანგეთი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა და თვითონ მაკრონის ფიგურა დღევანდელ ევროპაში ხელწამოსაკრავი არ არის.

***– მოგეხსენებათ, ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ევროკავშირის ასოცირებული წევრი ვართ. ასეთი განცხადებები ჩვენს საზოგადოებაში ხომ არ ბადებს გაურკვევლობას, რადგან ხშირად მესმის განცხადებები, რომ სჯობს ისევ რუსეთთან ვიყოთ, ვიდრე გაურკვეველ დასავლეთთანო. თქვენ რას იტყვით ამგვარ განცხადებებზე?***

– რა თქმა უნდა, დასავლელი ლიდერების მსგავსი განცხადებები, ზოგადად, პესიმიზმს ბადებს, რადგან საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესიც საკმაოდ გაიწელა. ჩვენ სალად უნდა შევაფასოთ პროცესები. ჯერ ერთი, ნატოში გაწევრიანების დროში გაწელვა მხოლოდ ნატოს ბრალი არ არის. ჩვენი ბრალიც არის.

***– კერძოდ, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებს გულისხმობთ?***

– დიახ. რატომ, როგორ, რანაირად, ეს ცალკე თემაა. ამიტომ პრობლემები ჩვენ საკუთარ თავშიც უნდა ვეძებოთ. არ ივარგებს რუსეთისკენ ასე მარტივად შემოტრიალება. ჩვენ გვჩვევია ეს, მაგრამ თუნდაც უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ, აქედან კარგი არაფერი მიგვიღია.

აფხაზეთის ომის დროს მყისიერად გავხდით დსთ-ის წევრი, შემდეგ შევედით დსთ-ის სამხედრო ბლოკში, მაგრამ ამან ჩვენი უსაფრთხოება არ განამტკიცა. სხვადასხვა მხარეებმა 2008 წლის ომი როგორადაც უნდა შეაფასონ და ვინც უნდა დაადანაშაულონ (ობიექტური შეფასებები უნდა კეთდებოდეს და ეს ჩვენი შიდა საკითხია. ცუდია, რომ შეფასებებს ბოლომდე არ ვაკეთებთ), რომელი პოლიტიკური ფიგურა, მხარე, ქვეყანაც უნდა დავადანაშაულოთ, ომის პერიოდში ჩვენ ვიყავით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები და დსთ-ის სამხედრო ბლოკშიო დამკვირვებლის სტატუსით ვიყავით, მაგრამ დსთ-ის წევრობამ არ გვიხსნა.



***– დსთ-ის წევრობას როგორ უნდა ეხსნა საქართველო?***

– დსთ-ის წევრ საქართველოსთან რუსეთს სულ სხვაგვარი პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა, ომიც სხვაგვარად უნდა ეწარმოებინა.

***– როგორ?***

– ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებდა დაგომისის ხელშეკრულება, რომლის თანახმად რუსეთს, როგორც სამშვიდობო ძალას, სტატუს ქვოს აღსადგენად უნდა ემოქმედა. რუსეთმა კი კონფლიქტის ერთი მონაწილის პოზიცია დაიკავა და შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

***– ფაქტობრივად, რუსეთმა ჩვენთან დაპყრობითი ომი აწარმოა, რაღაც საბაბით.***

– დიახ. კონფლიქტს ყოველთვის ორი მხარე აქვს თუ არ ჩავთვლით, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, რუსეთთან ვიყავით კონფლიქტში და ვისაუბრებთ იმაზე, ფორმალურად რაც იყო გაფორმებული (დე ფაქტო, რუსეთთან კონფლიქტში ვიყავით. ფორმალურად იყო ქართულ-ოსური კონფლიქტი, რუსეთი კი სამშვიდობო ძალა გახლდათ), რუსეთმა დაიჭირა კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის მხარე, რითაც დაარღვია ადრე გაფორმებული ხელშეკრულება. ამაზე რატომღაც არ საუბრობენ.

თუ გადავხედავთ დაგომისის ხელშეკრულების ტექსტს, საკმაოდ მკაფიოდ წერია, რომ თუ მოხდებოდა სტატუს ქვოს დარღვევა, მხარეებს უნდა მიეღოთ ზომები სტატუს ქვოს აღსადგენად. ეს არ მოხდა.

***– რუსეთმა არა მხოლოდ დაგომისის, არამედ მოსკოვისა და სოჭის ხელშეკრულებებიც დაარღვია.***

– დიახ. ცუდია, რომ მოლაპარაკებების პროცესში ჩვენი მხარე ამას არ იყენებს. მათ შორის, როდესაც სარკოზის მეშვეობით მოხდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმება, დაგომისის ხელშეკრულება არ მოიშველიეს, რაც დღემდე გაუგებარია. მით უმეტეს, რომ დაგომისის ხელშეკრულება დღემდე არავის გაუუქმებია და მოსკოვი ამ ხელშეკრულებით იმყოფებოდა ცხინვალში. დღევანდელ რეალობაში ასე მარტივად, გულუბრყვილოდ რუსეთისკენ შემოტრიალება არ ივარგებს.

***– მთლიანად მოვექცევით რუსეთის კონტროლქვეშ.***

– ძალიან ცუდ რეალობაში აღმოვჩნდებით. ფაქტობრივად, დასამარდება კონფლიქტის მოგვარების ისედაც მწირი შესაძლებლობა. რა გვაქვს დღეს რუსეთთან სასაუბრო და საპირწონე გარდა იმისა, რომ რუსეთი კარგავს საქართველოს, როგორც გავლენის სფეროს მათი პოზიციიდან. ჩვენი დღევანდელი კურსიდან გამომდინარე, საქართველო მათთვის დაკარგულია. რუსეთისთვის მხოლოდ ის ბერკეტი არსებობს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელს უშლის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

კარგად ვიცით, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელს არ უშლის. ფორმების მოძებნა შესაძლებელია, თუ ნატო პოზიტიურ ნაბიჯს გადადგამს. აქ უბრალოდ რუსეთის ფაქტორია, მაგრამ უმჯობესია, ჩვენ რუსეთთან მაშინ ვაწარმოოთ მოლაპარაკება, როდესაც უფრო მეტი კოზირი გვიჭირავს, ვიდრე მაშინ, როდესაც დასავლეთიდან რუსეთისკენ შემოვტრიალდებით, როგორც შემოვტრიალდით 1994 წელს, ყოველგვარი რაიმე დაპირებისა და შეთანხმების გარეშე.

***– ფაქტობრივად, აფხაზეთში წაგებული ომის შემდეგ შევტრიალდით რუსეთისკენ და შევედით დსთ-ში.***

– ორი წაგებული ომის შემდეგ (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში) შევტრიალდით რუსეთისკენ რაიმე დაპირებებისა და შეთანხმებების გარეშე. ახლაც რომ უარი ვთქვათ ნატოზე და ყოველგვარი დაპირებებისა და შეთანხმებების გარეშე შევტრიალდეთ რუსეთისკენ, ეს იქნება სრული კრახი. ამას უნდა გააზრება. ჩვენ გვქონდა ბერკეტები, ვთქვათ, იგივე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომელიც ვაჩუქეთ რუსეთს, ძალიან პრიმიტიული დაპირებების ხარჯზე.

***– და გზაც გავუხსენით ლარსიდან გიუმრის ბაზისკენ ტვირთების გადასატანად.***

– ამიტომ საგარეო ვექტორი არ არის რაღაც მატარებლის რელსები, რომ გადავრთოთ და გადმოვრთოთ. ასეთი ცანცარი არ ვარგა.

# „ოცნების“ დეპუტატ ზარქუას სიდედრს ორი მიწის ნაკვეთი აჩუქეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

100 ათასი ლარის ვალდებულებაც გაატანა იმას, ვისაც მიყიდა.

***– ანუ რა გამოდის, თბილისის საკრებულოს წევრები საკუთარ ნათესავებს, ოჯახის წევრებს მიწის ნაკვეთებს დაბალ ფასად ურიგებენ და შემდეგ ძვირად ყიდიან?***

– რა თქმა უნდა, ასეა! სხვათა შორის, ამ ქალბატონმა ვაკეშიც შეიძინა ახალი ბინა სულ ახლახან. გაყიდა მიწის ნაკვეთი, ბინა შეიძინა. მე მინდა ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, რომ ზარქუა არის მთავარი გამპრავებელი „ქართული ოცნების“ და კახი კალაძის, შავზე თეთრი რომ თქვან, დაუდასტურებს და ამას თურმე აკეთებს არა გულწრფელობით, არამედ ანგარების გამო. ეს უკვე დადასტურებული ფაქტია. ეს კაცი ასე მდიდრდება და მერე მოყვება, რომ ზაზიაშვილი მატყუარაა, ოპოზიცია იტყუება და ამით ყველაფერს გააპრავებს, თუმცა ის ამას აკეთებს კონკრეტული სარგებლის გამო. მე არ მახსენდება „ქართული ოცნების“ არც ერთი წევრი და მხარდამჭერი, რომელიც კონკრეტულ სარგებელს არ ღებულობს, არა მილიარდერი ივანიშვილისგან, არამედ ჩვენი, მოქალაქეების ხარჯზე. მილიარდერი ივანიშვილი მის პარტიულ აქტივს, მის გასაპრავებლად ბიუჯეტის ხარჯზე კვებავს.

***– რამდენად გაქვთ იმედი, რომ ამით დაინტერესდება პროკურატურა?***

– არა, რა თქმა უნდა, გამოძიების იმედი არ მაქვს. ჩემი მთავარი მიზანი, რატომაც შემაქვს ეს საქმეები პროკურატურაში, არის ის, რომ წარმოებაში უნდა იყოს ეს საქმეები, რადგან, როცა იქნება, გათავისუფლდება პროკურატურა პოლიტიკური კონიუნქტურისგან და ადამიანის რომ მოთვისებული აქვს სახელმწიფო ქონება, ეს უნდა იყოს აღრიცხული და უნდა მოხდეს ამ საქმეებზე გამოძიების დაწყება და თუ გამოძიება დაადგენს და მე მიმაჩნია, რომ ეს ნამდვილად სახელმწიფო ქონების მიტაცებაა, პირდაპირი მიშეჩქებებით და ამ ხალხს საკრებულოში არაფერი ესაქმებათ, ესენი არიან ქურდბაცაცები და მათი ადგილი არის ციხეში! შესაბამისად, როცა მოვა დრო და პროკურატურა გათავისუფლდება პოლიტიკური ზეგავლენისგან, დამოუკიდებელმა პროკურორებმა და, მათ შორის, უცხოელმა მოსამართლეებმა, რომლის მოსყიდვასაც ვერავინ შეძლებს, აი იმ ხალხმა გაარკვიოს, ვინ რა მიიტაცა და ვინ რა წაიღო. ხოლო რაც მიტაცებული იქნება, ის აუცილებლად დაუბრუნდეს სახელმწიფოს.

***– ყველას და ყველაფერს ყიდულობენ?***

– ასეა. ბიძინა ამის უფლებას აძლევს, რომ გამდიდრდნენ სახელმწიფოს ხარჯზე. გეტყვით იმასაც, რომ ეს მიწის ნაკვეთები, რომელიც აჩუქეს ზარქუას სიდედრს, ამ მიწის ნაკვეთის გასხვისება მოხდა ახლა უკვე მეორე „ქართული ოცნების“ დეპუტატზე, ეს არის სოსლუღაშვილი – პარლამენტის დეპუტატი და ახლა იქ მიმდინარეობს მშენებლობა. საზოგადოებამ ახლა თავად გამოიტანოს დასკვნა, რა დღეში ვართ და რატომ გვაქვს ასეთი ვითარება. ერთმა ჩაანა, უფასოდ მიითვისა ეს მიწის ნაკვეთი და ახლა მეორეს გადასცა და საერთო ბიზნესინტერესები აქვთ.

***– ძალიან რთული მდგომარეობაა და გამოსავალი?***

– ურთულესი, საერთოდ, რაზე უნდა ვილაპარაკოთ! მართლა ყაჩაღები არიან ყველა მიმართულებით. ვის სჯერა იმის, რომ 2016 წლის 30 დეკემბერს დაუკანონეს მიწა. საახალწლო საჩუქარი გაუკეთეს 2016-ის ბოლოს და მერე კიდევ 2017-ში დამატებით სხვა მიწის ნაკვეთი გადასცეს. მერე პირობითი წესით მიწის ნაკვეთი გადასცეს აუქციონზე. მე და თქვენს საკითხს გაიტანენ მთავრობის სხდომაზე და მთავრობის განკარგულებით მიიღებენ?! რა თქმა უნდა, არა! ხოლო ზარქუას სიდედრისთვის ორი განკარგულება გამოიცა.

***– გაქვთ იმედი, რომ ეს ადამიანები პასუხს აგებენ ამ ყველაფრისთვის?***

– ამის დრო აუცილებლად მოვა. მოდით პირდაპირ გეტყვით, ამათ ციხეში ჯდომას მირჩევნია, რომ ის ქონება, რაც აქვთ მიტაცებული, ჩამოერთვათ და დაუბრუნდეს ხალხს. ვიღაცის ციხეში ყოფნაზე მაინცდამაინც გაგიჟებული არ ვარ. თუმცა ამ ხალხის ადგილი საკრებულოში არ არის, ფაქტია, რადგან ესენი არიან ბიუჯეტის ქურდები და წურბელები!

# „მობილური ბიჭს ვესროლე და ანა სუბელიანს მოხვდა“

## შალვა შევარდნაძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



– ანა სუბელიანისთვის არ მისვრია მობილური ტელეფონი, მის გვერდით მყოფ ბიჭს ვესროლე და ანას მოხვდა.

ამის შესახებ კინოთეატრ „ამირანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების დროს, სამოქალაქო აქტივისტის, ანა სუბელიანის დაშავების ფაქტზე დაკავებულმა შალვა შევარდნაძემ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

მისი თქმით, პოლიციის კორდონს მიღმა ანა სუბელიანი და მისი მეგობარი შეგნებულად გადმოვიდნენ აქტივისტების მხარეს და სწორედ მათმა შეძახილებმა და აქტივისტების მიმართ ცინიკურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მისი აგრესია.

– გოგოს არ მინდოდა მოხვედროდა, ბიჭს ვესროლე, რომელსაც ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენ მიმართ. შემთხვევით აღმოვჩნდი იქ და არ იყო ჩემი აქციაზე მისვლა დაგეგმილი.

ძალიან ცუდი შეძახილები იყო. რკინის ჯებირი იყო და შეგნებულად გადმოვიდნენ აქეთ ანა სუბელიანი და მისი მეგობარი. პროვოცირება იყო მათი. ჩემს გვერდზე აღმოჩნდა სუბელიანი და ის ბიჭი და მათმა ცინიკურმა დამოკიდებულებამ გააღიზიანა მოქალაქეები.

იმ ბიჭს ვესროლე მობილური ტელეფონი, გოგოსთვის არ მინდოდა, მაგრამ მოხვდა. რომ დამეგეგმა, მობილურის ნაცვლად ვესროდი სხვა რამეს, რასაც ფატალური შედეგი მოჰყვებოდა, – განაცხადა შალვა შევარდნაძემ.

ადვოკატ მერაბ წკრიალაშვილის განცხადებით, შალვა შევარდნაძე თავს დამნაშავედ ცნობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი მიმალვის საფრთხე არსებობს და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უნდა იყოს გამოყენებული.

გუშინ, 11 ნოემბერს, სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ შუამდგომლობად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება დააყენა, დაცვის მხარემ კი გირაო მოითხოვა 3.000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და შალვა შევარდნაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა გამოაცხადა.

სასამართლო სხდომას დაზარალებული ანა სუბელიანი არ ესწრებოდა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 24 დეკემბერს, 12:00 საათზე დაინიშნა.

შალვა შევარდნაძეს ბრალი 118,1 მუხლით აქვს წაყენებული, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს და ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან 6 თვიდან 2 წლამდე შინაპატიმრობას ითვალისწინებს.

ადვოკატმა მერაბ წკრიალაშვილმა განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

– სასამართლოს გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, ოღონდ, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც გავეცნობით დასაბუთებას. დღეის მდგომარეობით, ვერ გეტყვით, რა რისკებზეა საუბარი სასამართლოს მხრიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება მიგვაჩნია ტენდენციურად, არ ვეთანხმებით და აუცილებლად იქნება გასაჩივრებული კანონით დადგენილ ვადებში, – განაცხადა ადვოკატმა.

პროკურორის განმარტებით კი, სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია.

– საქმეში მოიპოვება სხვადასხვა მასალათა ერთობლიობა, მათ შორის, ბრალდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე, კონკრეტული მედია საშუალების მიერ გაშუქებული ვიდეოჩანაწერები.

ბრალდებული განმარტავს, რომ მან ნამდვილად ისროლა მობილური ტელეფონი დაზარალებულის მიმართულებით, თუმცა არა უშუალოდ მისი მისამართით. ბუნებრივია, ამას გარკვეული შეფასება მიეცა ბრალდების მხარის მიერ და შესაბამისი შუამდგომლობით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს, – განაცხადა პროკურორმა.

# ნანა ტაველიშვილი: „კახეთის პოლიციაში 4 საათის მანძილზე დაჭერით მემუქრებოდნენ“

## ყანდაურაში მომხდარი მკვლელობის საქმეზე მოწმემ ჩვენება მისცა



ყანდაურაში მომხდარ მკვლელობაზე თელავის რაიონულ სასამართლოში 85 წლის ომარ გამყრელიძის და მისი შვილიშვილის გაერთიანებული საქმის არსებითი განხილვა გაიმართა.

გუშინ, 11 ნოემბერს, დაცვის მხარემ აღკვეთი ღონისძიების შეცვლა მოითხოვა, რაც მოსამართლე მამუკა წიკლაურმა დააკმაყოფილა და უმცროსი ომარ გამყრელიძე 2.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ დარბაზიდან გაათავისუფლა.

პროცესის მიმდინარეობისას, კვლავ ბრალდების მხარის მოწმე, სოფელ ყანდაურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ნანა ტაველიშვილი დაიკითხა.

მასთან კითხვები ჰქონდა ყველა მხარეს.

პროკურორი ვლადიმერ ბექიშვილი ტაველიშვილს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მიმდინარე საგამოძიებო პროცესებზე უსვამდა კითხვებს.

მოწმემ დეტალურად გაიხსენა მკვლელობის დღეს გამყრელიძეების სახლში არსებული ვითარება.

გუშინდელ სხდომაზე გახმაურებული საქმის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მოწმემ განმარტა, რომ მომხდარის დღეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ხელი ემოციურ მდგომარეობაში მყოფმა მოაწერა. ვითარების შესწავლის შემდეგ კი, დათვალიერების დასრულების ოქმზე ხელმოწერის გაუქმება და პირვანდელი ჩვენების შეცვლა მოითხოვა.

ამასთან, ტაველიშვილმა სასამართლოზე განაცხადა, რომ სამხარეო პოლიციაში დაიბარეს და დაემუქრნენ, რომ მათთვის სასურველ ჩვენებას ხელი მოეწერა.

მოწმე განმარტავს, რომ პოლიციის მაღალჩინოსნები კახეთის მთავარ სამმართველოში 4 საათის განმავლობაში ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ.

– 13 მაისს კახეთის სამხარეო პოლიციაში დამიბარეს. მისვლისთანავე დაიწყო ჩემზე ზეწოლა, დამახვედრეს გამზადებული ჩვენება შაბლონის სახით. მე ხელი არ მოვაწერე და განვუმარტე, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს იქ არ ვყოფილვარ, მე მხოლოდ ვიყავი მტკიცებულებების დალუქვის დროს.

მე რომ უარი განვაცხადე ხელის მოწერაზე, დაიწყეს მუქარა, მახსენებდნენ, რომ საჯარო მოხელე ვიყავი, ჩემს ოჯახსაც შეეხნენ, შემახსენეს, რომ მანქანით ვმოძრაობდი და დამიჭერდნენ.

მთელი ეს მუქარები 4 საათი გრძელდებოდა. ფსიქოლოგიური სტრესი გადავიტანე. ვითხოვდი ადვოკატთან დარეკვას. დამცინოდნენ, დარეკეო, მაგრამ ტელეფონი ჩამორთმეული მქონდა, – განაცხადა ნანა ტაველიშვილმა.

სასამართლო სხდომას ესწრებოდა მხოლოდ უმცროსი ომარ გამყრელიძე, 85 წლის ომარ გამყრელიძემ, ავადმყოფობის გამო, სასამართლოზე დასწრება ვერ შეძლო.

# ჩიტაიას ქუჩაზე მკვლელობის მცდელობისთვის ი.ა.-ს 9 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ი.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 14 ივნისს, ქ.თბილისში, ჩიტაიას ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაში ი.ა.-ს და მაღაზიის გამყიდველ ე.ჟ.-ს შორის შელაპარაკება მოხდა. მაღაზიის გამყიდველმა დაცვის სამსახურის თანამშრომლები გამოიძახა. დაცვის თანამშრომლები ჟ.კ. და ლ.წ. დაძაბული სიტუაციის განმუხტვას შეეცადნენ, მოუწოდეს ი.ა.-ს დაწყნარებულიყო და აგრესიული ქმედება შეეწყვიტა. აღნიშნულით განაწყენებულმა ი.ა.-მ შურისძიების მოტივით, მოკვლის განზრახვით, ჟ.კ.-ს დანით გულმკერდის არეში ორი ჭრილობა მიაყენა. ლ.წ.-ს აქტიური მოქმედების შედეგად და იმის გამო, რომ დანა მკერდის ძვალმა შეაჩერა, ი.ა.-მ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით, ასევე დადასტურდა, რომ ი.ა. 2018 წლის 7 ივნისს, ქ.თბილისში მდებარე 3 მაღაზიიდან ფარულად დაეუფლა სარეალიზაციო პროდუქციას.

სამართალდამცველებმა ი.ა. 2018 წლის 14 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა დაკავშირებული მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან) და ქურდობის სამ ეპიზოდზე 177-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა.

სასამართლომ ი.ა.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ა. დამნაშავედ ცნო 19,108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 177-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დასაბუთებული განაჩენის ჩაბარების შემდგომ, პროკურატურა სასამართლოს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის და სასჯელის ნაწილში აპელაციის წესით გაასაჩივრებს.

# „შერჩევის წესი არ გამორიცხავს თვითნებობის საფრთხეს“

## ნინო ლომჯარია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს



სახალხო დამცველი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს.

აღნიშნული მოთხოვნით სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმდინარე წლის 1 ნოემბერს საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა.

– სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ, მოქალაქის საჯარო თანამდებობის დაკავების, სამართლიან სასამართლოზე წვდომის უფლებებსა და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უზრუნველმყოფელ პრინციპს, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კანდიდატების შერჩევის საკითხზე გადაწყვეტილებების ფარულად და დასაბუთების გარეშე მიღებასა და ასევე მათი გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობაზე.

„შერჩევის წესი არ გამორიცხავს თვითნებობის საფრთხეს, რადგან სადავო ნორმით გათვალისწინებული ფარული კენჭისყრა არ ავალდებულებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. კერძოდ კი ის, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ერთ კანდიდატს და უარი უთხრა მეორეს.

გასაჩივრების უფლების არარსებობით კი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს ერთმევათ შესაძლებლობა, სასამართლო წესით ამტკიცონ მათ შერჩევაზე უარის თქმის არამართლზომიერება. აღნიშნული წესი ვერ უზრუნველყოფს სამართლიან პროცესს და იმ კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გაუმართლებლად უზღუდავს შესაძლებლობას საკუთარი პროფესიული თუ სხვა პიროვნული უპირატესობების შესაბამისად იყვნენ შერჩეულნი, – აღნიშნა სახალხო დამცველმა.

ნინო ლომჯარიამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ასევე დააყენა შუამდგომლობა საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე სადავო ნორმების შეჩერების თაობაზე.

# სკოლის მოსწავლესთან გარყვნილი ქმედებისთვის მასწავლებელი დააკავეს



ხარაგაულში, სოფელ ნადაბურში, მასწავლებელი გარყვნილი ქმედების ბრალდებით დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი უფროსკლასელ გოგონასთან სექსუალური აქტის დამყარებას ცდილობდა, რაც დაკავების მიზეზი გახდა.

მამაკაცი მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მომხდარზე გამოძიება 141-ე მუხლით დაიწყო, რაც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს. აღნიშნული მუხლი 10-დან 13-წლამდე პატიმრობას გულისხმობს.

# შსს-მ ფილმში „და მერე ჩვენ ვიცეკვეთ“ პორნოგრაფიის ნიშნები ვერ დაინახა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფილმში „და მერე ჩვენ ვიცეკვეთ“ პორნოგრაფიის ნიშნები ვერ დაინახა. შესაბამისად, უწყებამ დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებაზე გამოძიება არ დაიწყო.

– მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, მოქალაქე დიმიტრი ლორთქიფანიძის მიერ სამინისტროში შემოტანილ იქნა განცხადება თანდართული მასალებით, რომლის თანახმად, აღნიშნული პირი მოითხოვდა ფილმის შინაარსის შესწავლამდე, მისი ჩვენების შეზღუდვას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, განცხადებაზე გამოძიება არ დაუწყია, – განუცხადეს „რუსთავი 2“-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში. „ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ დირექტორმა შსს-ს ფილმის „და მერე ჩვენ ვიცეკვეთ“ კინოპრემიერის გამართვამდე მიმართა და ჩვენების აკრძალვა მოითხოვა.

# გორში სანადიროდ წასული მამაკაცი მოკლული იპოვეს

გორში, სოფელ ოლოზში მონადირის ცხედარი იპოვეს.

როგორც კურიერს ატენის გამგებელმა უთხრა, სანადიროდ წასულ ჯგუფს 32 წლის მამაკაცი ჩამორჩა, მოგვიანებით კი, ამავე ჯგუფმა მისი ცხედარი ხევში, გარდაცვლილი იპოვა.

ნუგზარ მძინარაშვილის ინფორმაციით, გარდაცვლილს თავში ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მკვლელობის ვერსიას არ ადასტურებენ. უწყებამ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



# მოხუცმა ქალმა ჯეკპოტი მოხსნა და ბილეთი მაღაზიაში დარჩა



ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორის მკვიდრმა ლატარიაში 12,3 ათასი დოლარი მოიგო და მღელვარებით შეპყრობილს მომგებიანი ბილეთი მაღაზიაში დარჩა.

70 წლის ქალმა ლატარიის ბილეთი სავაჭრო ცენტრში იმ დროს შეიძინა, როდესაც მისი მეუღლე მაღაზიაში პროდუქტების არჩევით იყო დაკავებული. ქალმა ვირტუალური დოლი აირჩია და ფსონი 2, 5, 10 და 7 ნომრებზე დადო. მისი თქმით, ეს ციფრები მისი ოჯახის წევრების დაბადების დღეებს შეესაბამებოდა.

როდესაც ნომრები დაემთხვა, ბილეთი მოლარესთან მიიტანა და მან დაუდასტურა, რომ მსხვილი თანხა მოიგო. გახარებული და აღელვებული ქალი თავისი მანქანისკენ გაიქცა და იქ მის მომლოდინე მეუღლეს მოგების შესახებ მოუყვა. ხოლო მას შემდეგ, როდესაც ქმარმა მოგებული ბილეთის ჩვენება მოსთხოვა, ქალი მიხვდა, რომ ბილეთი მოლარესთან დარჩა.

წყვილი სავაჭრო ცენტრში დაბრუნდა და სავაჭრო დაწესებულების თანამშრომელმა მათ მოგებული ბილეთი დაუბრუნა. ორ დღეში კი ქალი მოგებული თანხის მისაღებად ლატარიის შტაბ-ბინაში მივიდა.

# ესპანეთის არჩევნებში მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა



ესპანეთის არჩევნებში მმართველმა სოციალისტურმა მუშათა პარტიამ გაიმარჯვა, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის მოპოვება ვერც ამჯერად შეძლო. მოქმედი პრემიერ-მინისტრის პედრო სანჩესის მემარცხენე-ცენტრისტულ პარტიას 350-ადგილიან პარლამენტში 120 ადგილი ერგო, თუმცა უმრავლესობის მოსაპოვებლად სულ მცირე 175 ადგილი იყო საჭირო. მეორე ადგილზეა მემარჯვენე-ცენტრისტული „სახალხო პარტია", რომელმაც აპრილში ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით მეტი ამომრჩევლის მხარდაჭერა დაიმსახურა და პარლამენტში 88 ადგილი ერგო.

რაც შეეხება ულტრამემარჯვენე პარტიას „ვოქსი", მისი მხარდამჭერების რაოდენობა აპრილის არჩევნების შემდეგ თითქმის გაორმაგდა და მან პარლამენტში 52 ადგილი მოიპოვა.

ესპანეთში საპარლამენტო არჩევნები წელს მეორედ გაიმართა. აპრილში გამართულ არჩევნებში პედრო სანჩესის სოციალისტურმა პარტიამ გაიმარჯვა, თუმცა დამოუკიდებელი მმართველობისთვის საკმარისი ხმები ვერ მოაგროვა, კოალიციის ჩამოსაყალიბებლად ივლისში გამართული მოლაპარაკებები კი წარუმატებელი აღმოჩნდა.

# რუმინეთის მოქმედი პრეზიდენტი არჩევნების პირველ ტურში იმარჯვებს



რუმინეთის მოქმედმა პრეზიდენტმა 10 ნოემბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება მოიპოვა.

24 ნოემბერს, მეორე ტურში, კლაუს იოჰანესი ყოფილ პრემიერ-მინისტრს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ვიორიკა დანკილას დაუპირისპირდება.

იოჰანესმა არჩევნებში მონაწილეთა ხმების 38,7% მოიპოვა, ხოლო ვიორიკა დანკილასმა – 22%. რუმინეთის კანონმდებლობის თანახმად, თუ ვერც ერთი კანდიდატი ხმების 50%-ზე მეტს ვერ მიიღებს, არჩევნების მეორე ტური დაინიშნება.

დანკილასის მთავრობა მას შემდეგ გადადგა, რაც პარლამენტის ნდობა ვერ მოიპოვა. მედიის ცნობით, კორუფციული სკანდალებით ცნობილ მთავრობას სურდა სასამართლო სისტემაზე კონტროლი დაემყარებინა.

# სირიაში აფეთქებას 8 ადამიანი შეეწირა

## 20-ზე მეტი დაშავდა




სირიაში, ბომბის აფეთქების შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა. აფეთქება ჩრდილოეთ რეგიონში მოხდა, რომელსაც თურქული ჯარები და მათი მოკავშირე სირიის აჯანყებულები აკონტროლებენ. თურქეთის თავდაცვის მინისტრმა მომხდარში ქურთი მებრძოლები დაადანაშაულა.

„8 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 20-ზე მეტი დაიჭრა, როდესაც ავტომობილში ბომბი აფეთქდა" – ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თურქეთმა სამხედრო ოპერაცია სირიაში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელი ლიდერების დაჟინებული მოთხოვნის ფონზე შეწყვიტა. ამჟამად, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში თურქეთისა და რუსეთის სამხედრო მილიცია ახორციელებს კონტროლს.

# ტუალეტში შესულ მამაკაცს იქ ნიანგი დახვდა

ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ ვადოდარაში ნიანგმა საკუთარი სახლის ტუალეტში შეაღწია და იქ მოიკალათა.

სახლის პატრონი საპირფარეშოდან გამომავალმა ხმაურმა გააღვიძა. მან იფიქრა, რომ იქ კატა შეძვრა და მის გამოსაყვანად გაემართა. კარის გაღების შემდეგ კი მამაკაცმა იქ ნიანგი დაინახა, რომელიც პირდაფჩენილი კუთხეში იჯდა. მამაკაცი ტუალეტიდან გამოვარდა და მაშინვე გარეული ცხოველების დაცვის ფონდში დარეკა.

ფონდის მიერ შემთხვევის ადგილზე გამოგზავნილ სპეციალისტებს დაახლოებით ერთი საათი დასჭირდათ რეპტილიასთან გასამკლავებლად.



– იმ სივიწროვეში ამის გაკეთება რთული იყო, – განმარტა ერთ-ერთმა მათგანმა, – ამასთან ნიანგი საკმაოდ აგრესიული აღმოჩნდა.

მტაცებლის სიგრძე 1,2 მეტრს აღწევდა. სავარაუდოდ, მან სახლში იქვე ახლოს მდებარე მდინარე ვიშვამიტრიდან შეაღწია.

# ქალს რვაწლიანი აკრძალვის შემდეგ სექსის უფლება მისცეს

ინგლისის იორკშირის საგრაფოს ქალაქ ლიდსში მოსამართლემ ქალის მიმართ გამოტანილი ინტიმური კავშირის აკრძალვის განაჩენი გააუქმა.

რვა წლის წინ მოსამართლე მარკ ჰედლიმ, რომელიც იმ ადამიანების კეთილდღეობის საკითხებითაა დაკავებული, რომელთაც თავად გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლიათ, დაასკვნა, რომ მისი განსასჯელი გონებრივად ჩამორჩენილი იყო. მან გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმადაც, ქალი სქესობრივი კავშირის დროს საკუთარ თავზე კონტროლს კარგავდა და აქედან გამომდინარე, მას სქესობრივი კავშირის დამყარება დროებით აეკრძალა.



მიმდინარე წელს ჰედლიმ საქმეს გადახედა და აღნიშნა, რომ ქალი სარეაბილიტაციო ცენტრიდან გადავიდა ყოველდღიური დახმარების აღმოჩენის სახლში და მის ქცევაში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. მოსამართლემ ჩათვალა, რომ მას გონიერი გადაწყვეტილებების მიღება უკვე შეუძლია და ამიტომ ინტიმური კავშირის დამყარების უფლება დაუბრუნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი გადადგა



ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი გადადგა. მასთან ერთად გადადგა ვიცე-პრეზიდენტი ალვარო გარსია ლინერა.

თავის გამოსათხოვარ სიტყვაში მორალესმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანაში შეწყდება ქაოსი. მან ასევე განაცხადა, რომ გადადგა იმისთვის, რომ ბოლივიაში შეწყდეს ძალადობა, რომელიც ოპოზიციამ გამოიწვია.

მანამდე კი, ბოლივიაში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა სახელმწიფო მედიასაშუალებების შენობები დაიკავეს.

ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყნის 3 დიდ ქალაქში პოლიცია აქტივისტების მხარეს გადავიდა. ათობით სამართალდამცავმა აქტივისტებს ხელი ჩამოართვა და დემონსტრაციას შეუერთდა.

ბოლივიაში საპროტესტო აქციები უკვე 3 კვირაა, მიმდინარეობს. ქვეყანაში აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც საარჩევნო კომისიამ ევო მორალესი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოაცხადა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ამკურნალი-კოსმეტოლოგი გთავაზობთ შემდეგი სახის მკურნალობას: სახეზე ჩირქოვანი გამონაყარის „აკნეს" ლაქების მოხსნას, კანის გამოცვლას უმტკივნეულოდ, დახეთქილი და გაუხეშებული ქუსლების, ხელების მკურნალობას ხსნარებისა და მალამოების საშუალებით. ტელ: 555-11-00-06.

# თბილისის დინამო ჩემპიონობას უახლოვდება

**რუსთავი-დინამო (თბ) 0:2**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

**0:1 ქავთარაძე (76), 0:2 შიშკა (89)**

**რუსთავი:** კულუა, ც.კაპანაძე, ლაცაბიძე, ნოზაძე, ვასაძე, სილაგაძე, გუჯაბიძე, ქოჩლაძე, ბაირამოვი (პავლოვი 64), ბუგულოვი (სიჭინავა 79), ბ.ქავთარაძე

**დინამო:** პერალესი, იაშვილი, მონხილი, კობოური, კაპლიენკო (ზარია 70), პაპავა, ნ.ქავთარაძე (შიშკა 87), ნინუა, კუხიანიძე (დაფე 60), ქიმაძე, კუტალია

თბილისელებს საჩემპიონო მარათონში აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ, ასევე მოგებაზე გახლდათ მოტივირებული რუსთაველთა გუნდი, რომელიც გადათამაშების ზონაში იმყოფება და მათთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. მატჩის პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდებოდა. პირველ ტაიმში დინამომ დიდი სათამაშო უპირატესობა მოიპოვა, თუმცა სტუმრებმა ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს. 2 მომენტში ლევან კუტალია ამწვავებდა თამაშს. ტაიმის შუაში გიორგი ქიმაძის, ნოდარ ქავთარაძის და ლევან კუტალიას კომბინაციას შეიძლება რეალური საგოლე ვუწოდოთ, თუმცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბომბარდირმა ზუსტად დარტყმა ვერ შეძლო. ამის მერეც დინამოელები ბევრს უტევდნენ, თუმცა უშედეგოდ.

მე-2 ტაიმის დებიუტში მასპინძლებმაც გაიბრძოლეს და რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს, თუმცა დინამოელებმა მალევე მოახერხეს უპირატესობის დაბრუნება და 76-ე წუთზე საგოლე კომბინაციაც წამოიწყეს. ნიკა ნინუამ შორი და ზუსტი გადაცემით საჯარიმოში შერბენილი გიორგი ზარია მონახა, რომელმაც ერთი შეხებით აჯობა მეკარეს, ბურთი ნოდარ ქავთარაძეს გადააწოდა და ანგარიშიც გაიხსნა.

დინამოელებმა კიდევ უმატეს შეტევებს და შეხვედრის ბოლოსკენ არფან დაფეს პასით სადებიუტო გოლი მიჰაილო შიშკამ გაიტანა.

**დინამო (ბთ)-სიონი 2:0**

**ბათუმი. ანგისა**

**1:0 მანჯგალაძე (24), 2:0 ჯილაური (48)**

**დინამო:** ალავიძე, მ.კობახიძე, მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ტეიდი (ჩალაძე 79), ჯილაური, თევდორაძე (ჯანელიძე 74), მანჯგალაძე, მამუჩაშვილი (გაფრინდაშვილი 31), ფლამარიონი

**სიონი:** გოშაძე, უგრეხელიძე, ჯაფიაშვილი, აფაქიძე, სუხიაშვილი, თარხნიშვილი (თომაშვილი 41), ხმალაძე, თარგამაძე, გვარაძე, ივანიშვილი (ტვილდიანი 56), უგულავა (ტატანაშვილი 56)

**გაძევება:** აფაქიძე (34)

ანგისაზე ბათუმის დინამომ აუტსაიდერი სიონი მიიღო და როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა. მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას და შექმნილი სახიფათო მომენტებიდან 2 გოლად აქციეს.

ანგარიში მატჩის 27-ე წუთზე გიული მანჯგალაძემ ჯამბულ ჯილაურის გოლით გახსნა, ხოლო მეორე ტაიმის დებიუტში კი ჯილაურმა უკვე თავად შეაგდო და ბათუმელთა უპირატესობა სოლიდური გახდა.

**საბურთალო-ვიტ ჯორჯია 3:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**1:0 კოხრეიძე (51). 2:0, 3:0 გაბედავა (61, 73). 3:1 მუსელიანი (853)**

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, ტაბატაძე (გაბედავა 59), მარგველაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი, ჩაბრაძე, ცნობილაძე, გი, გორგიაშვილი, გულიაშვილი (როლოვიჩი 65), კოხრეიძე (გრიგალაშვილი 74)

**ვიტ ჯორჯია:** ისერგიშვილი, თათხაშვილი, კიკალიშვილი, ქისიევი, სეხნიაშვილი, ნემსაძე (ჯანელიძე 56),



ნანობაშვილი, ნუსუევი, ვარძელაშვილი (ვაზაგაშვილი 64 ),მუსელიანი, ხუციანიძე

ლიდერთა სამეულში მყოფმა საბურთალომ, რომელიც ვიტ ჯორჯიას დაუპირისპირდა, მეტოქე მარტივად დაამარცხეს. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, საბურთალოელებმა მეორე ნახევრის 22-წუთიან ინტერვალში 3 ბურთი გაიტანეს. 85-ე წუთზე კი სტუმრებმა პრესტიჟის ბურთის გატანა შეძლეს.

პირველი 45 წუთი არ იყო სახიფათო მომენტებით დახუნძლული. მე-2 ტაიმის დასაწყისში მარჯვენა ფლანგზე იური ტაბატაძემ კარგად ითამაშა, შემდეგ საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც გიორგი კოხრეიძემ ერთი შეხებით გახსნა ანგარიში. მასპინძლებმა მალე მე-2 გოლიც გაიტანეს – ინტერს გიმ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ნახტომში კი გიორგი გაბედავამ ეფექტური გოლი გაიტანა. ცვლილებაზე შემოსულმა გაბედავამ 73-ე წუთზე დუბლი მიითვალა, როდესაც მეტოქის საჯარიმოში მარტივად ჩამოიშორა მოწინააღმდეგე და არც ახლო მანძილიდან გატანა გასჭირვებია.

ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმრებს პრესტიჟის გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მასპინძლები ხარიხამ იხსნა. „ვეტერინარებმა" მატჩის მიწურულს მაინც გაიტანეს – მუსელიანმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**ლოკომოტივი-ჩიხურა 0:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**0:1 მამასახლისი (31), 0:2 ჩიხლაძე (47)**

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, გაბაძე, უბილავა, შონია, გვალია (დარცმელია 59), სამურკასოვი (გოროზია 79), კომახიძე (თ.კირკიტაძე 46), დ.კირკიტაძე, სიხარულიძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, ჩიკვაიძე, კაშია, მამასახლისი, მარკოზაშვილი (ერგემლიძე 88), სარდალიშვილი, ჩიხლაძე, არდაზიშვილი (დეკანოიძე 81), ფანცულაია (მუმლაძე 90)

ლოკომოტივმა ევროპა ლიგის საგზურის ოფიციალურად გაფორმება საკუთარ მოედანზე, საჩხერის ჩიხურასთან მატჩში ვერ შეძლო. ეროვნული ლიგის მეოთხეადგილოსანს, მომდევნო ტურში ბოლნისში 3 ქულისთვის სერიოზული ბრძოლა მოუწევს.

ლევან კორღალიძის გუნდმა თამაში მშვიდად დაიწყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო უპირატესობას ლოკომოტივი ფლობდა, თბილისელებმა გოლი საკუთარ კარში მიიღეს. 31-ე წუთზე, ეს ოლეგ მამასახლისმა შეძლო და სტუმრები დააწინაურა. გაშვებული გოლიდან სამიოდ წუთში კი, მასპინძლები მეორე გოლისგან დემეტრე ბულისკერიამ იხსნა.

ლევან კორღალიძემ ცვლილებების განხორციელება მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე დაიწყო. ირაკლი კომახიძის ნაცვლად ტაიმი თორნიკე კირკიტაძემ დაიწყო. თამაშის განახლებიდან ერთ წუთში კი, „ჩიხურამ" მეორედ აიღო ბულისკერიას კარი. დემიკო ჩიხლაძის გოლით, საჩხერლების უპირატესობა 2 ბურთამდე გაიზარდა.

ლოკომოტივი საგოლე მომენტებს თითქმის ვერ ქმნიდა. ყოველ შემთხვევაში, რეალურ ხიფათამდე საქმე არ მიდიოდა. თბილისელთა უიღბლობას, 73-ე წუთზე ლევან კორღალიძის სათადარიგოთა სკამიდან გაძევებაც დაემატა.

**ტორპედო-დილა 1:1**

**წყალტუბო. 26 მაისი**

**1:0 კაპანაძე (21), 1:1 სანტოსი (81)**

**ტორპედო:** შოვნაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა (მაჩაიძე 56), ცეცხლაძე, მოსიაშვილი, თ.კაპანაძე, ნადარაია, ჩოგაძე (დოლიძე 74), ციცქიშვილი, გრიგალაშვილი, ჩუკვურა

**დილა:** ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, ჩადუნელი, ნონდი, რაზმაძე, ფორტესი (ა.სანტოსი, 46), კუცია, ნონიკაშვილი (გოშთელიანი 37), იენდეუნტი, კოვტალიუკი, ქურდაძე (წიქარიძე 72)

ორივე გუნდი ელიტაში დასარჩენად იბრძვის. ამიტომაც საინტერესო შეხვედრა გამოდგა.

მატჩში ანგარიში ქუთაისელებმა გახსნეს – ტორპედო 21-ე წუთზე თორნიკე კაპანაძემ დააწინაურა და პირველი ტაიმი მასპინძლებმა 1:0 მოიგეს.

მეორე ნახევარში გორელებმა უფრო აქტიურად შეუტიეს მეტოქეს და მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. 81-ე წუთზე თავი ალეფ სანტოსმა გამოიჩინა და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა – 1:1.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 34 | 21 | 6 | 7 | 66-30 | 69 |
| 2.დინამო (ბთ) | 34 | 20 | 7 | 7 | 54-28 | 67 |
| 3.საბურთალო | 34 | 19 | 7 | 8 | 59-34 | 64 |
| 4.ლოკომოტივი | 34 | 15 | 4 | 15 | 40-44 | 49 |
| 5.ჩიხურა | 34 | 11 | 11 | 12 | 45-40 | 44 |
| 6.დილა | 34 | 11 | 9 | 14 | 37-40 | 42 |
| 7.ტორპედო | 34 | 11 | 8 | 15 | 50-52 | 41 |
| 8.სიონი | 34 | 10 | 8 | 16 | 36-73 | 38 |
| 9.რუსთავი | 34 | 9 | 10 | 15 | 37-52 | 37 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 34 | 4 | 8 | 22 | 15-46 | 20 |

## შედეგები

## 10 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ასტონ ვილა ..................... 2:1
მანჩესტერი-ბრაიტონი .................. 3:1
ლივერპული-სიტი .......................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 12 | 11 | 1 | 0 | 28-10 | 34 |
| 2.ლესტერი | 12 | 8 | 2 | 2 | 29-8 | 26 |
| 3.ჩელსი | 12 | 8 | 2 | 2 | 27-17 | 26 |
| 4.სიტი | 12 | 8 | 1 | 3 | 35-13 | 25 |
| 5.შეფილდი | 12 | 4 | 5 | 3 | 13-9 | 17 |
| 6.არსენალი | 12 | 4 | 5 | 3 | 16-17 | 17 |
| 7.მანჩესტერი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-12 | 16 |
| 8.ვულვზი | 12 | 3 | 7 | 2 | 16-15 | 16 |
| 9.ბორნმუთი | 12 | 4 | 4 | 4 | 15-15 | 16 |
| 10.ბრაიტონი | 12 | 4 | 3 | 5 | 15-17 | 15 |
| 11.ბარნლი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-18 | 15 |
| 12.კრ.პალასი | 12 | 4 | 3 | 5 | 10-16 | 15 |
| 13.ნიუკასლი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-18 | 15 |
| 14.ტოტენჰემი | 12 | 3 | 5 | 4 | 18-17 | 14 |
| 15.ევერტონი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-18 | 14 |
| 16.ვესტ ჰემი | 12 | 3 | 4 | 5 | 14-20 | 13 |
| 17.ასტონ ვილა | 12 | 3 | 2 | 7 | 17-20 | 11 |
| 18.უოტფორდი | 12 | 1 | 5 | 6 | 8-23 | 8 |
| 19.საუთჰემპტონი | 12 | 2 | 2 | 8 | 11-29 | 8 |
| 20.ნორვიჩი | 12 | 2 | 1 | 9 | 11-28 | 7 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ბრისტოლი ..................... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-ვერდერი ...................... 3:1
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი ......... 0:2
ფრაიბურგი-აინტრახტი ................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 11 | 8 | 1 | 2 | 24-11 | 25 |
| 2.ლაიფციგი | 11 | 6 | 3 | 2 | 29-12 | 21 |
| 3.ბაიერნი | 11 | 6 | 3 | 2 | 29-16 | 21 |
| 4.ფრაიბურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 20-12 | 21 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 11 | 6 | 2 | 3 | 16-14 | 20 |
| 6.დორტმუნდი | 11 | 5 | 4 | 2 | 23-15 | 19 |
| 7.შალკე | 11 | 5 | 4 | 2 | 20-14 | 19 |
| 8.ლევერკუზენი | 11 | 5 | 3 | 3 | 17-15 | 18 |
| 9.აინტრახტი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-16 | 17 |
| 10.ვოლფსბურგი | 11 | 4 | 5 | 2 | 11-10 | 17 |
| 11.უნიონი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-17 | 13 |
| 12.ჰერტა | 11 | 3 | 2 | 6 | 17-21 | 11 |
| 13.ვერდერი | 11 | 2 | 5 | 4 | 18-24 | 11 |
| 14.ფორტუნა | 11 | 3 | 2 | 6 | 15-19 | 11 |
| 15.აუგსბურგი | 11 | 2 | 4 | 5 | 13-24 | 10 |
| 16.მაინცი | 11 | 3 | 0 | 8 | 12-30 | 9 |
| 17.კიოლნი | 11 | 2 | 1 | 8 | 10-23 | 7 |
| 18.პადერბორნი | 11 | 1 | 1 | 9 | 11-26 | 4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-რეგენსბურგი ............ 2:2
ნიურნბერგი-არმინია ................... 1:5
ჰაიდენჰაიმი-ჰანოვერი ................ 4:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ვილიარეალი ............... 3:1
ბილბაო-ლევანტე ......................... 2:1
ატლეტიკო-ესპანიოლი .................. 3:1
ხეტაფე-ოსასუნა ........................... 0:0
ბეტისი-სევილია ........................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 8 | 1 | 3 | 33-15 | 25 |
| 2.რეალი | 12 | 7 | 4 | 1 | 25-9 | 25 |
| 3.ატლეტიკო | 13 | 6 | 6 | 1 | 15-8 | 24 |
| 4.სევილია | 13 | 7 | 3 | 3 | 17-14 | 24 |
| 5.სოსიედადი | 13 | 7 | 2 | 4 | 21-14 | 23 |
| 6.ბილბაო | 13 | 5 | 5 | 3 | 13-8 | 20 |
| 7.ხეტაფე | 13 | 5 | 5 | 3 | 18-15 | 20 |
| 8.გრანადა | 13 | 6 | 2 | 5 | 19-17 | 20 |
| 9.ვალენსია | 13 | 5 | 5 | 3 | 19-18 | 20 |
| 10.ოსასუნა | 13 | 4 | 7 | 2 | 16-13 | 19 |
| 11.ვილიარეალი | 13 | 5 | 3 | 5 | 26-19 | 18 |
| 12.ლევანტე | 13 | 5 | 2 | 6 | 16-16 | 17 |
| 13.ვალიადოლიდი | 13 | 4 | 5 | 4 | 14-17 | 17 |
| 14.ალავესი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-18 | 15 |
| 15.ეიბარი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-21 | 15 |
| 16.მალიორკა | 13 | 4 | 2 | 7 | 12-19 | 14 |
| 17.ბეტისი | 13 | 3 | 4 | 6 | 15-23 | 13 |
| 18.სელტა | 13 | 2 | 3 | 8 | 7-19 | 9 |
| 19.ესპანიოლი | 13 | 2 | 2 | 9 | 7-23 | 8 |
| 20.ლეგანესი | 13 | 1 | 3 | 9 | 7-22 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-ელჩე ......................... 1:3
ალმერია-სარაგოსა ...................... 1:1
მალაგა-ფუელაბრანდა .................. 0:0
რასინგი-პონფერადინა ................. 2:2
რაიო-კადისი ................................ 1:1

**იტალია. სერია ა**

კალიარი-ფიორენტინა .................. 5:2
ლაციო-ლეჩე ................................ 4:2
სამპდორია-ატალანტა .................. 0:0
უდინეზე-სპალი ............................ 0:0
პარმა-რომა ................................. 2:0
იუვენტუსი-მილანი ....................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 12 | 10 | 1 | 1 | 26-12 | 31 |
| 2.იუვენტუსი | 12 | 10 | 2 | 0 | 20-9 | 32 |
| 3.ლაციო | 12 | 7 | 3 | 2 | 28-13 | 24 |
| 4.კალიარი | 12 | 7 | 3 | 2 | 23-12 | 24 |
| 5.რომა | 12 | 6 | 4 | 2 | 20-14 | 22 |
| 6.ატალანტა | 12 | 6 | 4 | 2 | 30-18 | 22 |
| 7.ნაპოლი | 12 | 5 | 4 | 3 | 21-15 | 19 |
| 8.პარმა | 12 | 5 | 2 | 5 | 18-15 | 17 |
| 9.ფიორენტინა | 12 | 4 | 4 | 4 | 18-19 | 16 |
| 10.ვერონა | 12 | 4 | 3 | 5 | 10-11 | 15 |
| 11.ტორინო | 12 | 4 | 2 | 6 | 15-17 | 14 |
| 12.უდინეზე | 12 | 4 | 2 | 6 | 8-18 | 14 |
| 13.სასუოლო | 11 | 4 | 1 | 6 | 21-21 | 13 |
| 14.მილანი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-16 | 13 |
| 15.ბოლონია | 12 | 3 | 3 | 6 | 16-20 | 12 |
| 16.ლეჩე | 12 | 2 | 4 | 6 | 15-25 | 10 |
| 17.ჯენოა | 12 | 2 | 3 | 7 | 14-26 | 9 |
| 18.სამპდორია | 12 | 2 | 3 | 7 | 7-19 | 9 |
| 19.სპალი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-18 | 8 |
| 20.ბრეშა | 11 | 2 | 1 | 8 | 10-20 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

კრემონეზე-სალერნიტანა .............. 1:0
ტრაპანი-კოზენცა ......................... 2:2
ფროზინონე-კიევო ....................... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-ამიენი ................................. 3:1
მონპელიე-ტულუზა ...................... 3:0
ნანტი-სტ.ეტიენი .......................... 2:3
მარსელი-ლიონი ........................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 10 | 0 | 3 | 28-8 | 30 |
| 2.მარსელი | 13 | 6 | 4 | 3 | 16-11 | 22 |
| 3.ანჟე | 13 | 6 | 3 | 4 | 17-16 | 21 |
| 4.სტ.ეტიენი | 13 | 6 | 3 | 4 | 15-17 | 21 |
| 5.ლილი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-13 | 19 |
| 6.მონპელიე | 13 | 5 | 4 | 4 | 14-10 | 19 |
| 7.ბორდო | 13 | 5 | 4 | 4 | 18-15 | 19 |
| 8.რეიმსი | 13 | 5 | 4 | 4 | 9-6 | 19 |
| 9.ნანტი | 13 | 6 | 1 | 5 | 11-12 | 19 |
| 10.რენი | 12 | 5 | 3 | 4 | 16-13 | 18 |
| 11.მონაკო | 13 | 5 | 3 | 5 | 20-22 | 18 |
| 12.ბრესტი | 13 | 4 | 5 | 4 | 14-16 | 17 |
| 13.ნიცა | 13 | 5 | 2 | 6 | 16-19 | 17 |
| 14.ლიონი | 13 | 4 | 4 | 5 | 20-13 | 16 |
| 15.ამიენი | 13 | 4 | 4 | 5 | 17-20 | 16 |
| 16.სტრასბური | 13 | 4 | 3 | 6 | 11-14 | 15 |
| 17.მეცი | 13 | 3 | 4 | 6 | 11-18 | 13 |
| 18.ტულუზა | 13 | 3 | 3 | 7 | 15-25 | 12 |
| 19.დიჟონი | 13 | 3 | 3 | 7 | 7-14 | 12 |
| 20.ნიმი | 12 | 2 | 5 | 5 | 11-16 | 11 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

აიაქსი-უტრეხტი ........................... 4:0
ტილბურგი-პსვ ............................. 2:1
ტვენტე-ზვოლე ............................. 2:1
ფეინოორდი-ვალვაიკი .................. 3:2
ალკმაარი-ემენი ........................... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-პორტიმორენშე ............ 1:1
ფერეირა-ტონდელა ...................... 1:0
სპორტინგი-ბელენენსეში .............. 2:0
გიმარაეში-ბრაგა .......................... 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ორენბურგი-უფა ........................... 0:0
არსენალი-ზენიტი ......................... 0:1
სოჭი-ცსკა ..................................... 2:3
ლოკომოტივი-კრასნოდარი ........... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ბაზელი ........................... 0:3
ციურიხი-სიონი ............................. 4:2
იანგ ბოიზი-სტ.გალენი .................. 4:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-რეინჯერსი ............. 0:2
სელტიკი-მოზერველი .................... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-მატერბურგი ................... 2:1
ლინცერი-ადმირა ......................... 1:0
ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ........ 0:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-ბრიუგე ..................... 2:1
გენკი-გენტი .................................. 0:2
სტანდარდი-მეხელენი .................. 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-ასტერასი ........................... 2:1
ქსანთი-პანიონიოსი ..................... 1:2
ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი .......... 2:0
პანათინაიკოსი-აეკი ..................... 3:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გიოზთეფე-მალათია ...................... 1:1
ტრაბზონი-ალანია ........................ 1:0
ბეშიქთაში-დენიზლი ..................... 1:0
ბაშაქშეჰირი-ანკარაგიუჯიუ ......... 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-ლიბერეცი ....................... 4:1
ჩესკე-სლოვაცკო ......................... 2:0
სლავია-ტეპლიცე ......................... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-ჩენსტოხოვა ................. 2:2
ლეხი-კორონა .............................. 0:0
ლეხია-პოგონი ............................. 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზორია-კოლოსი ............................ 2:0
შახტარი-დინამო .......................... 1:0
ოლიმპიკი-ოლექსანდრია ............. 0:0

დანია. სუპერლიგა

**ჰობრო-ნორდსიელანდი 2:2**

ლუნგბიუ-ოდენსე ......................... 4:3
ორხუსი-სონდერიისკე .................. 4:2
ბრონდბიუ-ესბიერგი .................... 2:1
მიდტიულანდი-კოპენჰაგენი ......... 4:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდი-სარპსბორგი ....... 4:0
ლილესტრიომი-სტაბეკი .............. 1:3
მიოლდე-სტრომგოდსეტი ............ 4:0
მიონდალენი-რანჰეიმი ................. 3:1
ტრომსო-ვალერენგა .................... 0:0
რუსენბორგი-ბოდო გლიმდტი ...... 3:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დუქნის დახლიდარი; 2. მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ცნობების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა; 3. ნავსადგური უკრაინაში; 4. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 5. მეათე საუკუნის მონასტერი ჯავახეთში; 10. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს; 11. წარმოების, ორგანიზაციის მართვა; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. ძვირფასი ქვა; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 20. გერმანული ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი რაჭაში; 7. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 9. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 13. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. ვაშლის ქართული ჯიში; 18. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 19. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 21. დამარილებული ღორის ქონი; 22. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ჟესტიკულაციით გადმოცემული უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 24. სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერაში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. მარაკანა; 8. ბაკარა; 9. კრემნიუმი; 11. ონტოფო; 12. ბარონი; 14. ნამუსი; 15. პრეტორია; 20. კარაქი; 22. ტაიფუნი; 23. ვალი; 24. პარიტეტი; 25. ბელი; 26. ნისანი; 27. ცირკი.

**შვეულად:** 1. პატრი; 2. ანტენა; 4. კოკაინი; 5. ალიონი; 6. ბალაგანი; 7. სიმფონია; 10. პრესი; 12. ბამბუკი; 13. მერქანი; 16. ბისტრო; 17. სფინქსი; 18. პირატი; 19. პაკეტი; 21. რკალი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნიკე; 2. თორნიკე; 3. თითა; 4. თალია; 5. კოჰორტა; 6. ჰაე; 7. ნოე; 8. კიი; 9. სალაკა; 10. ალასკა; 11. კაპელდინერი; 12. რაულ; 13. ანუი; 14. აბა; 15. ერისიონი; 16. და; 17. არაუკარია; 18. ატავიზმი; 19. ნილოსი; 20. „აიდა"; 21. ემუ; 22. ისარნა; 23. ბომბი; 24. ამიაკი; 25. ოლოლო; 26. ინგა; 27. სტილი; 28. ადა; 29. ბიგამია; 30. სნობი; 31. ალტი; 32. ომი; 33. ირისი; 34. ლეი; 35. მერინოსი. **სურათებზე:** ეშლი ტისდეილი; ლუსიო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.9613 | ევრო — 3.2687 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7943 | 100 რუსული რუბლი — 4.6386 |

## ამინდის პროგნოზი 12 ნოემბერი




## „საქართველოს ვარსკვლავის“ ათეული ცნობილია



მუსიკალური გადაცემა „საქართველოს ვარსკვლავის“ ათეული ცნობილია. ჟიურიმ ნათია თოდუას, თიკო ბერძენიშვილის, დავით ევგენიძის და დავით ალადაშვილის შემადგენლობით, პროექტში მონაწილეებიდან ის საუკეთესო ათეული დაასახელა, რომლებიც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ და ჩვენს ქვეყანას „ევროვიზიაზე“ წარადგენენ.

„საქართველოს ვარსკვლავი 2019“-ის ათეულში არიან: მერაბ ამზოევი, მარიამ გოგიბერიძე, ანრი გუჩმანიძე, თამარ კაკალაშვილი, ნიკა კალანდაძე, დავით რუსაძე, ბარბარა სამხარაძე, მარიამ შენგელია, ლიზა შენგელია და თორნიკე ყიფიანი.

ათეულიდან ბევრი მათგანი სხვადასხვა მუსიკალური შოუს მონაწილე და გამარჯვებულია. უმრავლესობას მაყურებელი კარგად იცნობს.

„გაიხსენი“ – ასეთია წლევანდელი ევროფესტივალის სლოგანი, ამიტომ კონკურსანტებს გამარჯვების მოსაპოვებლად მაქსიმალური გახსნა ესაჭიროებათ.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსს ნიდერლანდების ქალაქი როტერდამი უმასპინძლებს.

## თამუნა მუსერიძე საავადმყოფოში მოხვდა



ტელეწამყვანი თამუნა მუსერიძე საავადმყოფოში მოხვდა. მიზეზი თირკმლის შეტევაა. მაღალი ტემპერატურა, რომელიც ტელეწამყვანმა ვირუსს დააბრალა, თირკმლის ბრალი ყოფილა:

– ტყუილად ვღლაბუცობდი ჩემ სიცხეზე. თირკმელი ყოფილა. როგორც კი სიცხე აგიწევთ, მაშინვე დარეკეთ სასწრაფოში.

## ბექნუ ქაფიანიძე: „ასეთი, მუდამ გახლეჩილი და დაპირისპირებული, საზოგადოება ერთიანდებოდა ოდესმე?“



კითხულობს მსახიობი ბექნუ ქაფიანიძე და მიაჩნია, რომ საგიჟეთში ვართ:

– ასეთი, მუდამ გახლეჩილი და დაპირისპირებული, საზოგადოება ერთიანდებოდა ოდესმე? ერთიანდებოდა საერთო იდეის, ღირებულების, რწმენის, ფასეულობის გარშემო. რისი გაქილიკებაც ახლა ხდება და, შესაბამისად, საერთოც აღარაფერი აღარ გვრჩება. საგიჟეთია რა. „მამენტ“, ასე გიჟივით რო გვიყვარდეს ერთმანეთი, ბევრად მაგრად ვიქნებოდით. რაცხა ცოტა გოუფრთხილდეთ ერთმანეთს ბიძი, თორე ევირიეთ ნამეტანი.

## ასტროპროგნოზი

### 12 ნოემბრისათვის



**ვერძი** – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **კურო** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ტყუპები** – ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მცირე პრობლემა წარმოიშობა. ეს არ იქნება სერიოზული ავადმყოფობა, ალბათ, უფრო – პატარა გაციება. ყურადღება მიაქციეთ კვებას. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ლომი** – დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. ნებისმიერი პატარა კამათი დიდ სკანდალში გადაიზრდება. **ქალწული** – პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **სასწორი** – კრიტიკული დღეა, სრულიად შეუფერებელი ახალი საქმის დასაწყებად, სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **ღრიანკალი** – კარგი დღეა ძველი კავშირების აღსადგენად. გაწონასწორებული და მშვიდი ხართ. გრძელვადიან გეგმებს ნუ დააწყობთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, ყველაზე სარისკოც კი. წარმატებას მოგიტანთ სამოგზაუროდ წასვლა და ახალი ნაცნობობა. **თხის რქა** – იმედი გაგიცრუვდებათ. მოლოდინი ამაოა. იყავით თვითკრიტიკული. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – სამსახურში. კეთილისმყოფელი დღეა ახლობელთან კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ერიდეთ სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. **თევზები** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში, ასევე, შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. დათანხმდით და ნახავთ, რომ არ ინანებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

პაციენტი ექიმს:

– ექიმო, ექიმო, მიშველეთ! რა მჭირს?!

– დამშვიდდით, თქვენ ჩვეულებრივი ბუასილი გაქვთ.

– რა ბუასილი, ექიმო, სახეზე?

– აჰ, ეს სახეა?!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ, რა არის ახალი შენკენ?

– არა მიშავს, ახლახან დროში ვიმოგზაურე, ჯერ მომავალში ვიყავი, მერე წარსულში დავბრუნდი.

– ეგ როგორ?

– ჯერ სინგაპურში ვიყავი, მერე საქართველოში დავბრუნდი.

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– რას მირჩევდით თქვენს საფირმო კერძთან მისაყოლებლად, მშრალ ღვინოს თუ ნახევრად მშრალს?

– ქალბატონთან ერთად ხართ?

– რა თქმა უნდა.

– რომელთან, ახლახან საცეკვაოდ რომ გავიდა?

– დიახ.

– მაშინ, არაყს გირჩევთ.

●●●

ცნობილ ბიზნესმენს ეკითხებიან:

– როგორ გახდით მილიონერი?

– ცოლის წყალობით.

– ეგ როგორ?

– დამაინტერესა, რომელ ეტაპზე აღარ იწუწუნებდა, რომ ფული არ ჰყოფნიდა.

## გვარდიოლამ მსაჯები გააკრიტიკა



მანჩესტერ სიტიმ სტუმრად ლივერპულთან მნიშვნელოვანი შეხვედრა წააგო 1:3 და ამ მატჩის შემდეგ გვარდიოლას გუნდი ლივერპულს უკვე 9 ქულით ჩამორჩება.

შეხვედრის შემდეგ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მსაჯმა ლივერპულის კარში ორი პენალტი არ დანიშნა და ამან მატჩის შედეგზე გავლენა იქონია:

– არ მესმის, რისთვის არის ვარი, თუ ასეთ ეპიზოდებში სათანადო გადაწყვეტილება არ მიიღეს. ვფიქრობ მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი მაინც არ ვარ. ლივერპულს უკვე სოლიდური უპირატესობა აქვს.

## არსენალი ემერის ზამთარში არ გაუშვებს



ლონდონის არსენალი ბოლო პერიოდში არცთუ ისე დამაჯერებელია და უკვე აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ შესაძლოა უნაი ემერიმ თანამდებობა დატოვოს. თუმცა არსენალში ასე არ ფიქრობენ, ემერის ჯერ კიდევ ენდობიან და მზად არიან, მას დრო მისცენ. სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ესპანელი სპეციალისტი არსენალში დარჩება, ხოლო შემდეგ კი არსენალის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას მიიღებს.

ბოლო შეხვედრა არსენალმა სტუმრად ლესტერთან 0:2 წააგო და ამჟამად გუნდი ინგლისის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა.

## კრიშტიანო რონალდუ სარის გაუბრაზდა



იუვენტუსის და მილანის შეხვედრაში პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ მატჩის 55-ე წუთზე შეცვალეს და ამ ფაქტმა რონალდუ ძალიან გააბრაზა. კრიშტიანომ სარისკენ არც კი გაიხედა და მაშინვე გასახდელში წავიდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მან სტადიონიც დატოვა. მაურისიო სარიმ რონალდუ უკვე ზედიზედ მეორე შეხვედრაში შეცვალა და ეს ფაქტი კრიშტიანოსთვის ძალიან უჩვეულოა, რადგან მას ადრე იშვიათად ცვლიდნენ.

ჯერჯერობით რონალდუს კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო სარიმ განაცხადა, რომ ეს ცვლილება ლოგიკური იყო.

## არსენ ვენგერი: „ბაიერნი დამიკავშირდა, მაგრამ უარი ვუთხარი“



არსენ ვენგერმა ბაიერნში შესაძლო მუშაობაზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ამჟამად მას არ სურს რომელიმე გუნდის გაწვრთნა, თუმცა მომავალში არაფერია გამორიცხული. ვენგერის თქმით, ის ბაიერნის ხელმძღვანელობას პატივს სცემს:

– ბაიერნიდან დამიკავშირდნენ და მათ წინადადებას ყურადღებით მოვუსმინე, თუმცა არ დავინტერესდი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე გუნდს არასდროს გავწვრთნი, უბრალოდ, ახლა ამის დრო არ არის.

## დათო ტურაშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ

მწერალ დათო ტურაშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ. ინტერნეტში გავრცელდა მწერლის სიტყვები, სადაც ის ამბობს, რომ წარმატების მისაღწევად კაცმა ტრა.ი არ უნდა მისცე.

გავრცელებულ ინფორმაციას მწერლის შვილი ანაკო ტურაშვილი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

– ინტერნეტსივრცეში, კერძოდ, რაღაც ფეიქ ან გაურკვეველი წარმომავლობის გვერდებზე ვრცელდება მამაჩემის, დათო ტურაშვილის განცხადება ფილმ „და ჩვენ ვიცეკვეთ“-თან დაკავშირებით. გთხოვთ, სადაც შეგხვდებათ, დაარეპორტოთ, ან დაუწეროთ გამზიარებელს, რომ ეს ტყუილია და ნუ შეუწყობენ ხელს ფეიქ ნიუსის გავრცელებას.

ლინკებს შეგნებულად არ ვაშეარებ, ისედაც ბევრგან შემხვდა და დავიღალე ამ ფეიქგვერდებთან და ბოტებთან ბრძოლით, რაც ძირითადად უშედეგოა.

ამოგლიჯო ადამიანის სიტყვები კონტექსტიდან და თარიღის და წყაროს გარეშე, როგორც გინდა, როცა გინდა, სადაც გინდა ისე დაწერო და დაასათაურო, არის დანაშაული.

წლების წინ მოყოლილი ამბავი, რომელიც არანაირად არ უკავშირდება ახლანდელ ამბავს, რადგან „ჯინსების თაობა“ რეალური ამბავია, რეალური გმირებით, დოკუმენტურ მასალაზე შექმნილი, რატომ უნდა დაუკავშირო მხატვრულ ფილმს? დათომ არ შეცვალა სცენარი, რადგან სცენარი ნამდვილ ამბავზე იყო, რეალური გმირებით.



მით უმეტეს, ის არ გამოსულა ახლა და ეს ამბავი არ მოუყოლია ან დაუწერია სადმე, მით უმეტეს, კი არ შეუდარებია ფილმისათვის „და ჩვენ ვიცეკვეთ“.

ხომ უნდა იაზრებდე ადამიანი, რომ ეს ორი თემა ერთმანეთს არ ეკვეთება.

თან იყენებენ სხვის მიერ დაწერილი სტატუსის სათაურს, ისე, თითქოს ეს დათოს ეთქვას.

ვიმეორებ, დათო ტურაშვილს არანაირი განცხადება ან სტატუსი, მას ფეისბუქი საერთოდ არ აქვს, ფილმ „და ჩვენ ვიცეკვეთ“-თან დაკავშირებით არ გაუკეთებია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. გამოჩენილი ორატორის სახელწოდება ძველ რომში; 2. თირკმლების ანთება; 3. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 4. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 5. ჩინური ფაიფური; 7. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 11. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 15. ტრამვაის მძღოლი; 16. მექსიკური არაყი; 17. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 18. მოძრავი სცენა თეატრში; 20. კოვბოების შეჯიბრი; 22. ქართული სპორტული რადიო.

**თარაზულად:** 6. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 8. სოფლის შარაგზა; 9. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 10. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 12. წნული ქოხი სამეგრელოში; 13. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 19. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 21. ოქროს მწარმოებელი საწარმო საქართველოში; 23. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 24. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 25. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 26. ტვირთის მცირე ხნით შესანახი სათავსო ნავსადგურში, საბაჟოზე.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**